# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 22 მარტი 2003 №50 (1821) | ფასი 50 თეთრი



# არ გჯერათ, რომ ვითამაშებ?

## ბიძინა გეგიძემ უკვე ივარჯიშა და თუ კლოდ სორელმა თამაში დაუწუნა, მოხსნით ემუქრება

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# მანჩესტერს რეალი არ ასცდა

ესეც ჩემპიონთა ლიგის წილისყრა და ესეც წყვილები. ბურთულები კალათებიდან იმგვარი თანმიმდევრობით ამოვიდა, მეოთხედფინალებში, მერე კი ნახევარფინალში გვარიანი ბრძოლები გაიმართება. ბურთულები ცოტა სხვა თანმიმდევრობით რომ ამოსულიყო, წყვილები კი შეიცვლებოდა, მაგრამ ბრძოლები მაინც ნაღდი გაიმართებოდა. ანუ იმის თქმა გვსურს, რომ ლიგას ისეთი გუნდები შემორჩნენ, ნებისმიერი კომბინაცია კარგი იქნებოდა.

რვავე გუნდს თავისი წილი შეუტანია ფეხბურთის ისტორიაში და ერთმანეთშიც ძველი ანგარიშები აქვთ.

ჩვენ გვახსოვს 1995 წლის ლიგის ფინალი: „აიაქსი" „მილანის" წინააღმდეგ. შარშანწინისწინდელი ჯადოსნური მეოთხედფინალი „რეალსა" და „მანჩესტერ იუნაიტედს" შორის, უეფას თასის შარშანდელი „ვალენსია" — „ინტერი" ანუ კუპერი კუპერის წინააღმდეგ — მოკლედ, ისტორია გრძელდება.

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის და უეფას თასის ნახევარფინალის წილისყრის შედეგები იხილეთ მეხუთე-მეექვსე გვერდებზე



როი კინი და იკერ კასილიასი ლიგის მეოთხედფინალში ერთმანეთს სამი წლის წინათაც შეჰყრიან





# დინამო VS ვიტ ჯორჯია

## კვირას ნერვების ომია

### შუშაკს ზედიზედ მეორე მოგება სურს, კარნევალის კი სათასო მარცხიც ვერ მოუნელებია

იხილეთ მეორე გვერდი

# EXCLUSIVE

## ბრაიან კერიმ თბილისში მრთი კარგი დროის გასატარებელი ადგილის იცის

...რობი კინს თავის კლუბში უკვე ხუთი კვირაა, არ უთამაშია და შორსაა ოპტიმალური ფორმისგან. ეს ჩვენთვის დიდი დანაკლისია, მით უმეტეს, თბილისში პრინციპული მატჩის წინ. თუმც რობი კინი საქართველოსთან ითამაშებს თუ არა, ჯერ არ მაქვს საბოლოოდ გადაწყვეტილი...

...კარგად ვიცი, რას წარმოადგენს ქართული ფეხბურთი. საქართველოს შეუძლია, აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო იყოს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ მომავალ კვირას თბილისში თამაშისას სიფრთხილე გვმართებს...



კობა ინასარიძის ექსკლუზიური ინტერვიუ ირლანდიის ნაკრების მთავარ მწვრთნელთან იხილეთ მესამე გვერდზე

საქართველოს უმაღლესი ლიგა 14 ჩემპიონატი მეორე ეტაპი

# 2 ტური

ანონსი

I–VI ადგილები


ვიტელი დავით დიღმელაშვილი (№18) და დინამოელი ვიტალი დარასელია

თბილისი. ეროვნული. 23 მარტი. 15 საათი

## დინამო — ვიტ ჯორჯია

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი; მ. მალაღურაძე (ორივე თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია; **დირექტორი:** მ. ანჯაფარიძე
**დისკვალიფიცირებულნი:** გოგობერიშვილი, კანდელაკი, ახალაია (სამივე დინამო)

# დინამო — ვიტ ჯორჯია ისევ მოედანზე გამოიტანეს

*სამშაბათიდან მოყოლებული „დინამო" — „ვიტ ჯორჯიას" თითქმის ტრადიციადქცეული დაპირისპირება საფეხბურთო მოედნებს გასცდა და კაბინეტებში გადაინაცვლა. ვეტერინარები ჩივიან, დინამოელები ჯერჯერობით თავს მარჯვედ იცავენ, ფეხბურთის ფედერაციის და სადისციპლინო კომიტეტის უმოქმედობამ კი ორ დედაქალაქურ კლუბს შორის ისედაც გართულებული ვითარება კიდევ უფრო დაძაბა*

**ერთი ქალაქის** ორი გუნდის გადამეტებული ქიშპობა ევროპულ ფეხბურთის ოლითგან მოსდგამს და იქ, ცივილიზებულ სამყაროში, ეს არც არავის უკვირს. ჩვენში კი, სადაც ზომაწონა თითქმის ყველაფერში გვეშლება, ზედმეტი დაძაბულობა საგრთხის მომასწავებელია. სწორედ ეს გახლავთ საფიქრალი, თორემ, ზოგადად, მომეტებული ინტრიგა ურიგო სულაც არ გახლავთ.

სახვალიო დაპირისპირების წინ „დინამოს" და „ვიტ ჯორჯიას" ბანაკებში სიმშვიდეს ინარჩუნებენ. ორივე გუნდს თავის საფიქრალი მოსძალებია და თავისი ჭირ-ვარამის გარდა, ცალი თვალი მეტოქისკენ უჭირავს.

ივო შუშაკს ხვალ ვერაფერში წაეშველებიან ფორვარდი ლადო ახალაია, გუნდის ხერხემალი ალეკო გოგობერიშვილი და სათასო მეოთხედფინალში თავგამოჩენილი მცველი ილია კანდელაკი. დისკვალიფიკაციის გამო მათ საკვირაო მატჩის ყურება ტრიბუნიდან მოუწევთ. ისევ ტრავმირებულია ნახევარმცველი ლადო ბურდული და მთელი დატვირთვით ვერ ვარჯიშობს ნაგრიპალი მეკარე ირაკლი ზოიძე, თუმც ბოლო მატჩში ყოჩაღად გამოიყურებოდა მეორე მეკარე დავით გვარამაძე.

საკვირაო დაპირისპირებას მგლოვიარედ შეხვდება ვიტელთა თავკაცი კარნევალი. სინიორ ჯანის იტალიაში დისშვილი ავტოკატასტროფაში დაეღუპა, გამგზავრებასაც აპირებდა, მაგრამ ბოლო წამს დარჩენა გადაწყვიტა.

მის განკარგულებაში სადღეისოდ ყველა საუკეთესო ფეხბურთელია. ვარჯიში განაახლა მუხლმტკივანმა გიორგი ყიფიანმა, მწყობრში ჩადგა სათასო მეოთხედფინალის პირველ ტაიმში დაშავებული ალექსანდრე ინწკირველიც.

პრინციპული თამაშის წინ ორივე გუნდის თავკაცი კომენტარს არ გვამადლის. შუშაკს და კარნევალის თავიანთი ბიჭების ეიმედებათ.

*ივო შუშაკი, „დინამოს" მთავარი მწვრთნელი:* „ხშირად ამბობენ, რომ ერთ კვირაში ერთი და იგივე მეტოქის დამარცხება ძალიან ძნელია. მართალია, „დინამოს" ძირითადის რამდენიმე მოთამაშე აკლია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მოსაგებად გავალთ მოედანზე. ამას რომ ვამბობ, „ვიტ ჯორჯიას" ღირსებებს სულაც არ ვაკნინებ, კარგად ვიცით, როგორ შეკრულ გუნდს ვეთამაშებით.

ბოლო დროს „დინამო" — „ვიტ ჯორჯიას" დავა მოედნის ფარგლებს გასცდა და სხვადასხვა ინსტანციებშიც ირკვევა. ეს თავისებურად მატჩისადმი ინტერესს ზრდის და ინტრიგას აორმაგებს, თუმც უმჯობესი იქნება, ჩვენს შორის უფრო ძლიერი უშუალოდ თამაშმა გამოავლინოს".

*ჯანი კარნევალი, „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი:* „ჩემს გუნდში ამაღლებული, ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული განწყობა სუფევს. ისიც კარგად მესმის, კლუბებს შორის დავამ კულმინაციას რომ უწია, მაგრამ მერწმუნეთ, ორი კლუბის ხელმძღვანელთა დუელზე ჩემი ბიჭები სულაც არ ფიქრობენ, მწვრთნელ-ფეხბურთელის საქმე ბურთს და მოედანს არ სცილდება, დანარჩენზე სხვებმა იფიქრონ და როგორც საჭიროდ მიიჩნევენ, ისე მოიქცნენ. ვიცი, „დინამოს" რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლია, მაგრამ ეს არანაირ შეღავათს არ გვაძლევს. „დინამოს" საკმაოდ გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს და ტრავმირებულ-დისკვალიფიცირებულების გარეშეც ძლიერია, თუმცა მათ მეორედ „ვიტ ჯორჯიას" დამარცხება ძალიან გაუჭირდებათ. კვირას ჩვენ მხოლოდ გამარჯვებაზე ვიფიქრებთ."

**მამუკა ძგანტალიანი**

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 22 მარტი. 15 საათი

## სიონი — ლოკომოტივი

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე; ლ. სილაგავა, ზ. ჯვარიძე; ს. კახიანი (ყველა თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი; **დირექტორი:** ნ. შუბითიძე

# ლოკომოტივი დაასვენეს და ბოლნისში გაუშვეს

**საამტურო** „ლოკომოტივ"—„სიონის" დაპირისპირებამ ბოლნისში გადატანით გვარიანი ინტრიგა შეიძინა. ეს მატჩი თბილისში, რკინიგზელთა ვაკურ სარბიელზე უნდა გამართულიყო, მაგრამ „ეროვნული მოტივით" ფედერაციამ ბოლნისში თამაში ბრძანა, 29 მარტს „ლოკომოტივის" სტადიონი საქართველო—ირლანდიის ეროვნულმა ნაკრებებმა უნდა გათელონ, ჭირვეული მარტის გადამკიდე კი იმის საშიშროება იყო, რომ საირლანდიოდ მოედანი სათანადო ფორმაში ვერ იქნებოდა.

ფედერაციამაც თადარიგი დაიჭირა და „ლოკომოტივს" კვლავაც სათადარიგო მოედანზე ბურთაობა შესთავაზა. რკინიგზელებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, იმ ბელტებში ბურთის გამგორებლები არ ვართო. არც გაემტყუნება ცაკარიასის ამქარს — ჩემპიონობის მაძიებელმა ვაკურ სათადარიგოზე მოულოდნელი ფრე ამოაგდო აუტსაიდერ „მილანთან" სათასო მეოთხედფინალის პირველ მატჩში.

ეს ვარიანტი რომ გამოირიცხა, ორი გზა დარჩა. მატჩი ან სხვა თბილისურ მოედანზე უნდა გამართულიყო, ანაც ბოლნისში. ზედმეტ ხარჯებს ყველა მოერიდა, ქვემოქართლელებმაც დიდსულოვნად დათმეს და ჩვენთან მობრძანდითო, შესთავაზეს. მოკლედ, დღეს ხალხმრავლობა იქნება „თემურ სტეფანიაზე". აქვე ისიც ვთქვათ, რომ „სიონი" — „ლოკომოტივის" მეშვიდე ტურის შეხვედრა 11 მაისს საერთაშორისო მატჩებმოლეულ „ლოკომოტივზე" გაიმართება.

ახლა დღევანდელ შეხვედრაში მონაწილე გუნდებზე ვთქვათ.

ფოთში ქვა ქვაზე არდამტოვებელ „ლოკომოტივს" „მილანთან" წაფორხილებამ გუნება კი გაუფუჭა, მაგრამ ბრძოლის ჟინი რომ არ განელებია, გუშინდელ ვარჯიშზეც გამოჩნდა. ფეხბურთელები თავგამოდებით ასრულებდნენ მწვრთნელის მითითებას, ცაკარიასმა რამდენიმე ჩახლართული კომბინაციაც დაამუშავებინა შეგირდებს და მოედნის კვალობაზე ფეხბურთელებს არცთუ ცუდად შეუსრულებიათ დავალება. ჯანზეა მთავარკაცი, გადამთიელი ნანა. ეს შემტევი ჯერაც არ გაშინაურებია ახალ გუნდს, ლიდერის ფუნქციებს კია შეჭიდებული და წარმატებულადაც. ნანაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული დღევანდელ მატჩში.

„სიონი" კი შინ მეომარი გუნდია და მადლიან ქვემოქართლულ მიწაზე „ლოკომოტივიც" ბევრჯერ წაუქცევია. ამ მიზნის განხორციელებაში დღეს ბოლნისელებს სხარტი და ტექნიკური დავით დათვაძე ვერ შეეშველება. ტანმორჩილ ნახევარმცველს ფეხის თითი აქვს ნალრძობი. სხვები კი ჯანზე არიან და ამათგან თემურ მახარაძეს გამოცდილების უფრო ეიმედება. შეტევაში „სიონი" შალვა ისიანის და ჰამლეტ წივწივაძის იმედად იქნება. თემურ მახარაძეს კიდევ ერთი თავდამსხმელი ჰყავს თადარიგში — მრავლისმნახველი და ახალშემატებული ელდარ გვასალია დიდი ძალაა ქვემოქართლელთათვის.

**პაატა ძგანტალიანი**


ნანას ბოლნისელებიც ნახავენ

წყალტუბო. 26 მაისი. 23 მარტი. 15 საათი

## ტორპედო — კოლხეთი

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; კ. თბილელი, ზ. მენთეშაშვილი; ა. მუშკოვი (ყველა თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ე. სილაგავა; **დირექტორი:** ბ. მჭედლიშვილი
**დისკვალიფიცირებული:** გამეზარდაშვილი (ტორპედო)

# აქვე არ არის წყალტუბო?

**სატურნირო ცხრილის** სათავეში წამოსკუპებულ ქუთაისის „ტორპედოს" ლიდერობა ისე გაუტკბა, უეჭველად შეეცდება, ეს ადგილი კიდევ დიდხანს შეინარჩუნოს. მომავალზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ამ უქმეების შემდეგ ქუთათურები, ალბათ, ფეხს არსად მოიცვლიან. კვირას „ტორპედო" ფოთის „კოლხეთს" ხვდება და, ცხადია, სამ ქულას გეგმავს.

ერთადერთი, რასაც „ტორპედოსთვის" ხელის შემშლელ პირობად ჩავთვლიდით, ნეიტრალური მოედანი უნდა ყოფილიყო. ქუთათურები ხომ წინა ტურში თბილისის „დინამოსთან" მატჩის შემდეგ გულშემატკივართა ქვების სროლის გამო ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯნენ. თუმც აბა, მეზობელი წყალტუბო მათთვის უცხოდ როგორ ჩაითვლება. მაგრამ მარტო ეს როდია: ფოთის „კოლხეთთან" მატჩში ჩემპიონებს დავით გამეზარდაშვილი დააკლდებათ, რომელიც ასევე „დინამოსთან" ჯახში გააძევეს. ხოლო გორის „დილასთან" სათასო შეხვედრისას მისივე ბედის გამზიარებელ ალექსანდრ შტელინს ტრიბუნიდან მოუწევს თავისი შეგირდების თამაშის ცქერა.

სამაგიეროდ, „ტორპედოს" ლაშა ჭელიძე და ვახტანგ ხვადაგიანი დაუბრუნდნენ. მათ „დილასთან" არ უთამაშიათ, თუმც ახლა მწყობრში არიან და შტელინიც მათ ძირითად შემადგენლობაში უპირებს გამწესებას.

— ცხადია, მოსაგებად ვიბრძოლებთ. ჭელიძე და ხვადაგიანიც დაგვემატებიან, რაც ჩვენთვის სასიხარულო ამბავია. დანარჩენებიც ჯანზე არიან. საბედნიეროდ, ტრავმა არავის აწუხებს — გვითხრა გუშინ „ტორპედოს" მწვრთნელმა სოსო ფრუიძემ.

**ძახა შალამბერიძე**

VII–XII ადგილები

ზესტაფონი. ცენტრალური. 22 მარტი. 15 საათი

## მეტალურგი — მერანი-ოლიმპი

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი), მ. ურუშაძე (თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ჭელიძე; **დირექტორი:** გ. ქორიძე
**დისკვალიფიცირებული:** აფციაური (მერანი-ოლიმპი)

ბათუმი. დინამო. 22 მარტი. 15 საათი

## ბათუმი — მილანი

**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); **სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა; **დირექტორი:** ი. კურტანიძე
**დისკვალიფიცირებული:** გუშარაშვილი (ბათუმი)

გორი. ცენტრალური. 22 მარტი. 15 საათი

## დილა — გორდა

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. ორდინიძე (ონი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე; **დირექტორი:** გ. ცაავა
**დისკვალიფიცირებულნი:** ზვ. ლაბაძე, კ. ალადაშვილი (ორივე გორდა)

### I-VI ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 29 |
| ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 28 |
| ვიტ ჯორჯია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 28 |
| დინამო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 28 |
| სიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 15 |
| კოლხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | 15 |

### VII-XII ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 14 |
| ბათუმი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 13 |
| მერანი-ოლიმპი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 12 |
| მეტალურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 10 |
| გორდა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 8 |
| მილანი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 8 |

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XXVI ტური

ალემანია 3:0 ალენი
ზანკტ პაული 1:2 როიტლინგენი
აინტრახტი 2:3 ტრირი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXIV ტური

ლევერკუზენი (მ) 0:2 ვერდერი (მ)
იურდინგენი 1:0 კიოლნი (მ)
კილი 0:0 მიუნსტერი

სამხრეთ რეგიონალლიგა XXVI ტური

ოფენბახი 0:0 კიკერსი
ერფურტი 2:1 დარმშტადტი

## ჰოლანდია

პირველი დივიზიონი XXV ტური

ექსელსიორი 0:1 ზვოლე

მეორე დივიზიონი XXV ტური

კამბური 4:1 მაასტრიხტი
ჰაარლემი 2:2 ვეენდამი
ჰელმონდი 1:1 ეინდჰოვენი
ჰერაკლესი 1:1 დენ ჰააგი
ოსი 3:2 სიტარდი
იგლსი 2:0 ვენლო
ემენი 3:2 დორდრეხტი

## ინგლისი

მეორე დივიზიონი XXXIX ტური

კარდიფი 1:0 მენსფილდი

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი XXX ტური

ლე მანი 2:1 კრეტეი

## პორტუგალია

პირველი ლიგა XXVI ტური

ჟილ ვისენტე 1:0 სპორტინგი

## შვეიცარია

A/B ჯგუფი. IV ტური

ლუგანო 1:2 აარაუ

## იტალია

სერია B. XXVII ტური

მესინა 2:1 ჯენოა

# EXCLUSIVE ბრაიან კერის ალბათობის თეორია

*29 მარტს საქართველო ირლანდიას უმასპინძლებს, შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე ჯგუფის ფავორიტად შერაცხულ და დღესდღეობით სატურნირო ცხრილის ფსკერზე დალექილ ირლანდიას. ორი მატჩი, ორი ნაგება, სამი გატანილი გოლი, ექვსიც მიღებული და შესაბამისად ნული ქულა – თავმოყვარე ირლანდიელებმა ნაკრების ასეთი შედეგი ვერ აიტანეს და მწვრთნელი მიკ მაკარტი დაითხოვეს. ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ კი მაკარტის მემკვიდრედ ბრაიან კერს უხმეს, უწინ ქვეყნის ახალგაზრდულ გუნდებთან წარმატებით მომუშავე კაცს.*

*ირლანდიის ნაკრებში თავის გამოჩენა კერმა ჯერ ვერ მოასწრო, თუმც მისი თავკაცობით „სამყურებმა" ერთი ხმაურიანი გამარჯვების მოპოვება კი შეძლეს – სტუმრად შოტლანდიელებს 2:0 სძლიეს.*

*ახლა კერს და რჩეულ ირლანდიელებს საქართველო ელით და იოლი წარმოსადგენი უნდა იყოს, როგორი განწყობითაც მოემგზავრებიან. სტუმრები თბილისში ჩარტერული რეისით ჩამოსვლას ხუთშაბათს აპირებენ. ორშაბათს კი ისინი დუბლინში შეიკრიბებიან და სამომავლო მატჩისთვის მზადებას დაიწყებენ.*

*იქამდე კი ირლანდიის ნაკრების მწვრთნელმა ბრაიან კერმა „სარბიელისთვის" მოიცალა, ინტერვიუზე დაგვთანხმდა და საუბარში მუქარაც გამოურია*



## თბილისში დროსტარების ყველაზე კარგი ადგილი შეტევაა, ურჩევს ირლანდიის ნაკრების მწვრთნელი ფეხბურთელებს



ბრაიან კერის სადებიუტო მატჩში ირლანდიელებმა მწვრთნელი არ გააწბილეს — შოტლანდიას 2:0 მოუგეს

**— თბილისში ნული ქულით მოემგზავრებით, სადაც თქვენნაირ აუტსაიდერთან მატჩი გელით. როგორ ფიქრობთ, საქართველოსთანაც თუ დამარცხდით, ჯგუფში გამარჯვების შანსს საბოლოოდ დაკარგავთ?**

— შანსი კი დაგვრჩება, მაგრამ ძალიან გაგვიჭირდება. ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს აუცილებლად მოვუგებთ და არც სხვა მატჩებში დავკარგავთ ქულებს, მაგრამ წარმატებისთვის თავგამოდებით ვიბრძოლებთ. ჩვენ ჯგუფში ექვსი თამაში დაგვრჩა, დასაკარგი ქულები უკვე დავკარგეთ, ახლა უნდა მოვიგოთ, ირლანდიას ეს შეუძლია.

**— გაქვთ გამოთვლილი ქულათა ის რაოდენობა, რაც ჯგუფში პირველობისთვის საკმარისი იქნება?**

— ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდ, შესაძლოა, იმაზე გაცილებით ნაკლები ქულა გამოდგეს საკმარისი, ვიდრე დღესაა სავარაუდო. ჩვენ ურთულეს ჯგუფში ვთამაშობთ. წინასწარ დაგეგმილი ქულების დაკარგვის ალბათობა ძალიან დიდია.

**— სატურნირო ცხრილის სადღეისო ვითარებას როგორ შეაფასებთ?**

— რუსეთმა და შვეიცარიამ კარგად დაიწყეს. მათთან გათანაბრება ძნელი საქმე იქნება. ყოველთვის რთულია, როცა ჩამორჩენილი ხარ და დაკარგულის ანაზღაურება გიწევს, თუმც არა შეუძლებელი. ჯგუფში ჯერ კიდევ ბევრი ქულაა გასათამაშებელი. ვიმედოვნებ, ჩვენ ამას შევძლებთ, მით უმეტეს, რომ ორივე გუნდთან კიდევ გვაქვს სათამაშო. რუსებს „ლენსდაუნ როუდზე" ვმასპინძლობთ და ღირსეული რევანშის მოლოდინში ვარ. ირლანდია ტრადიციულად შინ ძლიერად თამაშობს, შვეიცარიასთან ოქტომბრის შეხვედრა კი გამონაკლისი იყო. მათ სამაგიეროს სტუმრად გადავუხდით.

**— საქართველოში საუკეთესო შემადგენლობა მოგყავთ?**

— კარგი იქნებოდა, საუკეთესო შემადგენლობა შეგვეკრიბა, მაგრამ ჯერჯერობით გვიჭირს ამის მოხერხება. რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმირებულია. მაგალითად, რობი კინს თავის კლუბში უკვე ხუთი კვირაა, არ უთამაშია და შორსაა ოპტიმალური ფორმისგან. ეს ჩვენთვის დიდი დანაკლისია, მით უმეტეს, თბილისში პრინციპული მატჩის წინ. თუმც რობი კინი საქართველოსთან ითამაშებს თუ არა, ჯერ არ მაქვს საბოლოოდ გადაწყვეტილი. ისე კი, მიხარია, რომ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი დაწინაურდა და გამოცდილ თანაგუნდელებს ბევრით არ ჩამორჩებიან. ისინი თუ თბილისში ვათამაშე, დარწმუნებული ვარ, გამიმართლებენ. შოტლანდიასთან ამხანაგურ მატჩში ძირითადი შემადგენლობის ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა, მაგრამ კარგად ვითამაშეთ და მოვიგეთ. ვიმედოვნებ, შევძლებთ და თბილისში მაინც საუკეთესო შემადგენლობით ჩამოვალთ, შესაბამისად, უკეთ ვითამაშებთ, ვიდრე შოტლანდიასთან. ჩვენ ახლა ძალიან გვჭირდება მოგება.

**— აქამდე თუ გსმენიათ ქართულ ფეხბურთზე, ქართველ ფეხბურთელებზე?**

— ამ საკითხზე ვმუშაობდი და საკმაო ინფორმაციაც მივიღე. ახლა კარგად ვიცი, რას წარმოადგენს ქართული ფეხბურთი. საქართველოს შეუძლია, ადგილსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო იყოს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ მომავალ კვირას თბილისში თამაშისას სიფრთხილე გვმართებს. ვიცი, ქართველი ფეხბურთელების შესაძლებლობები, მათთან წამით არ შეიძლება ყურადღების მოდუნება.

**— ქართველი ფეხბურთელების თამაში გინახავთ?**

— შვეიცარია — საქართველოს შესარჩევი მატჩის ფირი რამდენჯერმე ვნახე. ხშირად მინახავს შოტლანდიური „რეინჯერსში" შოთა არველაძის თამაში.

**— თქვენი და მაკარტის დროინდელი გუნდები მნიშვნელოვნად განსხვავდება? ისეთ ირლანდიას ვერთ ნახავდი, რომელიც თამაშისას მოთმინებით ელის თავის შანსს. შოტლანდიასთან კი, უწინდელთან შედარებით, უფრო ეფექტურად, შეტევაში აგრესიულად ითამაშეთ.**

— ირლანდიის ნაკრები ყოველთვის ასე თამაშობს. მსოფლიოს წინა ჩემპიონატზეც ასე იყო და ამიტომაც მას შემდეგ ბევრი ქომაგი შეგვემატა. ჩვენ შეტევას ვაფასებთ, დაცვითი ფეხბურთის მოთამაშე გუნდი არ გვყავს. ამჟამინდელი გუნდი მაშინდელი ნაკრებისგან არ განსხვავდება და ჩემი მწვრთნელობის პირველ ეტაპზე არც ვაპირებ რაიმე პრინციპულ ცვლილებებს. ბიჭებს ყოველთვის ვეუბნები, რომ მეტი დრო შეტევაში გაატარონ.

**— თბილისშიც იგივეს ეტყვით შეგირდებს?**

— დიახ. თანაც ჩვენ ხომ სამი ქულისთვის მოვდივართ. ფეხბურთელებს მოსწონთ შემტევი, აგრესიული ფეხბურთი.

**— როი კინის არყოფნით გუნდში ერთგვარი ვაკუუმი ხომ არ იქმნება?**

— არა, ასე არ ვფიქრობ. ირლანდიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზეც კინის გარეშე ითამაშა და, ალბათ დამეთანხმებით, საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. როი 2001 წლის ნოემბრის მერე ნაკრებში აღარ ყოფილა და მას აქეთ ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ კინის ფუნქციების შესრულება შეუძლიათ. არ უარვყოფ, როი კინი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და ნაკრებს ის დააკლდა. თუმც, ვთქვი, უსაშველო არაფერია, შეუცვლელი — არავინ. ირლანდიაში ძალიან კარგი თაობა მოდის, ჭაბუკთა ნაკრებებიდან ბევრს შეუძლია ეროვნულ გუნდში დაწინაურება.

**— იმ ჭაბუკთა ნაკრებებიდან, რომლებსაც თქვენ ხელმძღვანელობდით?**

— დიახ, ის ბიჭები ძალიან პერსპექტიულები არიან.

**— გმადლობთ, თბილისში შეხვედრამდე...**

— გმადლობთ, ნახვამდის.

**კობა ინასარიძე**

# ტრაბზონმა შოთა გაიხსენა და ქინქლაძე ჩაიფიქრა

## აიბაბამ პატრონს ორი ქართველი შეუკვეთა

**რამდენიმე წელია,** „ტრაბზონსფორი" სტამბოლელ ვეშაპებს კონკურენციას ვეღარ უწევს. ის დრო წავიდა, არველაძეებს მეტოქეების კარში წყვილ-წყვილად რომ გაჰქონდათ გოლები. ამ სეზონში ტრაბზონული გუნდი უკეთ კი გამოიყურება, ვიდრე შარშან, მაგრამ კლუბის ბოსებს შემადგენლობის გაძლიერება მაინც განუზრახავთ.

ზამთრის სატრანსფერო პერიოდში „შავი ზღვის ქარიშხალმა" („ტრაბზონსფორის" მეტსახელია) ახალი ფეხბურთელები ვერ დაიმატა, რამაც ქომაგთა გულისწყრომა გამოიწვია.

ტრაბზონელებს მალიმალ მიეძალებათ ხოლმე ქართული ნოსტალგია და ამჯერადაც შოთა არველაძე გაიხსენეს. გაზეთ „ფანატიკის" ცნობით, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სამეტ აიბაბამ კლუბის პატრონს, ოზკან სუმერს თხოვნით მიმართა, ერთი კარგი მეგოლე თუ არ დავიმატეთ, სამომავლოდ ძალიან გაგვიჭირდებაო.

ოზკან სუმერს ბევრი ფიქრი დიდად არ დასჭირვებია, მაშინვე შოთა არველაძე ამოიღო მიზანში. ქართველ მეგოლეს მრავალი მეგობარი ჰყავს ტრაბზონში და ოზკან სუმერმაც დახმარება ერთ-ერთ მათგანს, „ტრაბზონსფორის" ყოფილ დირექტორს, ჯაფერ ჰაზაროლლუს სთხოვა. ჰაზაროლლუმ შუამავლობა იკისრა და პრეზიდენტისგან დირექტივებიც მიიღო. შოთა არველაძის გარდა „შავი ზღვის ქარიშხალს" გიორგი ქინქლაძეც სურს და ჯაფერ ბეიმ პრეზიდენტს აღუთქვა, პარალელურად მის გადმოსაბირებლადაც ვიმუშავებო. საქმის გაჩარხვა მხოლოდ ტრაბზონელების მარიფათზე არაა დამოკიდებული.

წუხელ შოთა არველაძეს შევეხმიანეთ და მან ეს გვითხრა: „ამის შესახებ ჯერ არაფერი მსმენია. ტრაბზონიდან არავინ შემხმიანებია. ჯაფერ ჰაზაროლლუს ვიცნობ, კარგი ურთიერთობა გვაქვს და რამდენიმე დღის წინ დამიკავშირდა კიდეც, თუმცა თურქეთში დაბრუნებაზე არაფერი უთქვამს".



[illegible] ფოტო

**მაია ხუციშვილი**

# რეხვიაშვილი რუსებმა სანაკრებოდ დაასვენეს

**რუსული პრემიერლიგის** პირველი ტური ალექსანდრე რეხვიაშვილის გაძევებითაც დაგვამახსოვრდა. „ტორპედო-მეტალურგის" ქართველ ნახევარმცველს მოსკოვის „სპარტაკთან" (0:0) მატჩში მსაჯმა ორი ყვითელი ბარათი აუფრიალა და მოედნიდან გააძევა.

არადა, საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ამ შეხვედრაში ურიგოდ სულაც არ თამაშობდა. ახლა ალექსანდრე რეხვიაშვილს დისკვალიფიკაციის გამო ერთი მატჩის გამოტოვება მოუწევს. სწორედ ასეთი სასჯელი გამოუწერა ჩვენებურს გუშინ რუსეთის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა.

აქვე გეტყვით, რომ „ტორპედო-მეტალურგ" — „სპარტაკის" მატჩში სტუმართა კაპიტანი იური კოვტუნიც გააძევეს. მას სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის მოხდა მოუწევს.

**კახა შალამბერიძე**



ნუკრი ვარდანიძის ფოტო

# უეფას თასი 2002-2003. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

# რა პორტია?

## ორნი ერთი ბუდიდან



ჯონ ჰართსონს სჯეროდა, რომ „ლივერპულს" გოლს გაუტანდა

**ლივერპული** (ინგლისი) 0:2 ***სელტიკი* (*შოტლანდია*)** (1:1)

**0:1 ტომპსონი (45), 0:2 ჰართსონი (81)**
**ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰიიპია, ტრაორე, რიისე, შმიცერი (ბაროში 55), ჯერარდი, ჰამანი, მერფი, ოუენი, ჰესკი**
**მწვრთნელი: ჟერარ ულიე**
**სელტიკი: დუგლასი, სილა (ჯ. სმიტი 85), ვალგაერენი, ბალდე, მიალბი, ტომპსონი, ლამბერტი (მაკნამარა 73), ლენონი, ს. პეტროვი, ლარსონი, ჰართსონი**
**მწვრთნელი: მარტინ ონილი**
**გაფრთხილება: მიალბი, სილა, ტომპსონი, დუგლასი**
**მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)**
**44 238 მაყურებელი**

„ეს იყო ურთულესი მატჩი პირველი წამიდან საფინალო სასტვენამდე — თქვა მარტინ ონილმა — ბიჭებმა ჯიგრიანად იბრძოლეს და ჩემგან მხოლოდ ქებას იმსახურებენ. ახლა შეგვიძლია, ფინალშიც გავძვრეთ, თუმცა საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან მოგვიწევს ჭიდილი". ონილმა გლაზგოური მატჩის შემდეგაც დაიქადნა, ეჭვი არ მეპარება, ნახევარფინალში ჩვენ გავალთო და ნათქვამი შეასრულა.

„ლივერპულს" უგოლო ფრეც აძლევდა ხელს, მაგრამ „სელტიკი" ისე შეუჩნდა მასპინძელთა დაცვას, რომ გოლს აუცილებლად გაიტანდა. „თეთრ-მწვანეები" ძალიან სწრაფად და ლაღად დააგელვებდნენ ბურთს „ენფილდზე". „ლივერპულიც" იძულებული იყო, შეთავაზებულ ტემპს აჰყოლოდა.

ქომაგსაც ეს უნდოდა, ისეთი ფეხბურთი გაჩაღდა, ბრიტანულ გუნდებს რომ ეკადრებათ. მიუხედავად მაღალი ტემპისა, შეხვედრის დასაწყისში ბევრი საგოლე მომენტი არ შექმნილა. ბალდემ ტომპსონის ჩაწოდებულს თავი კი დაუხვედრა, მაგრამ კარს ააცილა. მერე დიტმარ ჰამანმა გაისროლა შორიდან, რასაც საპასუხოდ ნილ ლენონის დარტყმა მოჰყვა. მალე ჰენრიკ ლარსონის ჯერიც დადგა. ჯიმი ტრაორემ სტილიან პეტროვი წააქცია და მარკუს მერკმა მასპინძლები დააჯარიმა. ბურთი სათავისოდ შავტუხა შველმა გაისწორა და დუდეკს გვარიანად გაჭიმვა დასჭირდა ლარსონის დაკრულის მოსაგერიებლად.

მატჩის ხასიათი ფეხბურთელებს საჯარიმოში ხშირად შეღწევის ნებას არ აძლევდა. უფრო შორიდან დარტყმას ცდილობდნენ, სტივენ ჯერარდს კი ეს საქმე არ ესწავლება. მან ორჯერ დაჰკრა მძლავრად, პირველად ბურთმა ძელს ჩაუზუზუნა, მეორედ დუგლასმა სასწაულებრივ ნახტომში მოიგერია ჯერარდის გზავნილი. ტაიმი „ლივერპულის" სასურველი ანგარიშით სრულდებოდა, როცა „სელტიკმა" საჯარიმო დარტყმის უფლება მოიპოვა და ტომპსონმა დუდეკისგან მარცხენა დაბალ კუთხეში გაიტანა. მეკარე უძლური იყო, რადგან კედელში მდგომი ჯერარდი ნაადრევად ახტა, ბურთი კი მის ფეხებქვეშ გაძვრა.

შესვენების შემდეგ „ლივერპული" გასათანაბრებლად დაიქოქა. ყველაზე რეალური შანსი ინგლისელებს ტაიმის დასაწყისში ჰქონდათ, თუმც ოუენ-ჯერარდის კომბინაცია დუგლასმა გამოიცნო და ბურთზე დროულად გამოვიდა. „სელტიკს" ჰართსონის მეორე გოლამდე ერთხელაც შეეძლო გატანა. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ლარსონის მხარი შეეგება და დუდეკმა „ლივერპული" იხსნა. მატჩის მიწურულს პოლონელი მეკარე უკვე ვერაფრით დაეხმარა გუნდს. ჰენრიკ ლარსონთან გათამაშებული ბურთი ჰართსონმა დუდეკისგან მარცხენა მაღალ კუთხეში შეაჭიკარტა.

მეორე გოლის ავტორი მატჩის შემდეგ ხარობდა: „ბრწყინვალედ ვითამაშეთ. მეტოქეს კომბინირებისა და შორიდან კარში დარტყმების საშუალება შევუზღუდეთ. „სელტიკის" ქომაგებს ბოდიშს ვუხდი „რეინჯერსთან" პენალტი რომ ვერ გავიტანე, თუმცა „ლივერპულთან" მეორე გოლის წინ, დარტყმის მომენტშივე ვიგრძენი, რომ ბურთი კარში აღმოჩნდებოდა".



თურქებმა იტალიური ბარიერი ვერ გადაჭრეს

**ბეშიქთაში** (თურქეთი) 1:2 ***ლაციო* (*იტალია*)** (0:1)

**0:1 ფიორე (6), 0:2 კასტრომანი (10), 1:2 სერგენი (83)**
**ბეშიქთაში: კორდობა, ტაიფური, აჰმეთ ილდირიმი, რონალდუ გიარო, იასინი, აჰმეთ დურსუნი (ნუმა 62), ნიიაზი (დობრა 46), იბრაჰიმი, სერგენი, პანჩუ, ილჰან მანსიზი**
**მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ**
**ლაციო: პერუცი, სტამი, ფ. კოუტუ, ფავალი, სეზარი (სიმეონე 60), სტანკოვიჩი, ფიორე (კიეზა 76), მიხაილოვიჩი, ჯანიკედა, კასტრომანი, კ. ლოპესი**
**მწვრთნელი: რობერტო მანჩინი**
**გაფრთხილება: ჯანიკედა, ილჰან მანსიზი, კასტრომანი**
**მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)**
**30 000 მაყურებელი**

ომისგან დაშინებულმა თურქმა პოლიციელებმა მატჩის დაწყების წინ სტადიონის ყველა კუთხე-კუნჭული გადაჩხრიკეს, გასახდელიც კი შეამოწმეს და ტერორიზმის სუნი ვერსად აიღეს.

„ბეშიქთაშის" ასწლოვანი იუბილე „ლაციომ" საზეიმოდ დახურა. ახლა მირჩა ლუჩესკუს თურქეთის ჩემპიონობა თუ გაახარებს. სტამბოლურ მატჩზე რუმინელი მწვრთნელის ნათქვამი გამართლდა — „ლაციო" კონტრშეტევებზე ითამაშებს, კიეზასა და კლაუდიო ლოპეს უნდა ვუფრთხილდეთო.

რობერტო მანჩინიმ თითქოს თავის გადაწყვეტილებით მასპინძლებს ერთი პრობლემა მოუხსნა. ენრიკო კიეზა ძირითად შემადგენლობაში არ შეიყვანა. ეგებ ამით უფრო მოადუნა ბეშიქთაშელთა ყურადღება, რადგან მხოლოდ არგენტინელი ფორვარდი გაიყვანა მოედანზე. ინძაგის კი მატჩამდე გრიპი შეჰყრია და დასვენება არგუნეს.

ფანებით შეგულიანებულმა „ბეშიქთაშმა" დებიუტშივე მოიწადინა „ლაციოს" მოხრჩობა, მაგრამ გოლი საკუთარ კარში იხილა. კლაუდიო ლოპესმა მეტოქის კარამდე ბურთიანად იარა, მას სტეფანო ფიორე მიჰყვებოდა თანამგზავრივით და ერთგულებისთვის არგენტინელისგან ცარიელი კარის წინ პასიც მიიღო. ფიორეს ზუსტად დარტყმა არ გასჭირვებია და ანგარიში გახსნა.

„ლაციო" უეფას თასზე სტუმრად არ დამარცხებულა, ისევე როგორც იტალიის ჩემპიონატში. აშკარაა, რომ რომაელებს კონტრშეტევებზე თამაში უკეთ და შედეგიანად ეხერხებათ.

სწრაფმა გოლმა მასპინძლებს ხასიათი წაუხდინა. მათ უკვე საპასუხოდ სამის გატანა სჭირდებოდათ. იტალიელებმა „ბეშიქთაშს" გონზე მოსვლა არ აცალესა და მეორეც მიაყოლეს. სინიშა მიხაილოვიჩის პასს კარის წინ კასტრომანმა თავი შეაგება — 2:0.

„შავ არწივს" დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა და შეუტია. მალევე შეეძლოთ ერთი გოლის გაქვითვა. პანჩუს დარტყმული ფერნანდო კოუტუმ კარის ხაზიდან გამოიტანა. ტაიმის შუაწელში მიხაილოვიჩი შეცდა და ბურთი ილჰან მანსიზს დარჩა, რომელმაც ასპროცენტიანი შანსი გააცუდა.

შესვენების შემდეგ ისევ „ბეშიქთაში" უტევდა. ილჰან მანსიზს ერთხელ კიდევ ჰქონდა მომენტი, მაგრამ ხუთიოდ მეტრიდან ააცილა. მასპინძლები ცდილობდნენ და გარჯა მხოლოდ შეხვედრის მიწურულს დაუფასდათ. პერუცისთან პირისპირ გასულმა სერგენ იალჩინმა იხეირა. ნაამატჩევს რობერტო მანჩინიმ მოკლედ თქვა: „ორმა ადრეულმა გოლმა მატჩის ბედი მალევე გადაწყვიტა. ჩვენ მეტოქის შეცდომები მაქსიმალურად გამოვიყენეთ".

**პანათინაიკოსი** (საბერძნეთი) 0:2დ.დ.(0:1) ***პორტუ* (*პორტუგალია*)** (1:0)

**0:1, 0:2 დერლეი სილვა (16, 102)**
**პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, სეიტარიდისი (ვარჟიხა 90), კირიაკოსი, ფისასი, კოლკა, მიკაელსენი, კარაგუნისი, კონსტანტინიდისი (გუმასი 46), ლიბეროპულოსი, ოლისადებე (კონსტანტინუ 83)**
**მწვრთნელი: სერხიო მარქარიანი**
**პორტუ: ვიტორ ბაია, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ფრანსისკუ, დეკო სოუზა, დერლეი სილვა, ალენიჩევი (ტ. პერეირა 63), ნუნუ რიბეირუ, პაულუ ფერეირა, მარიუ სილვა (რიკარდუ კოშტა 73), პოსტიგა (მარკუ ფერეირა 85)**
**მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ**
**გაფრთხილება: კონსტანტინიდისი, სეიტარიდისი, დეკო სოუზა, კოლკა**
**მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)**
**16 000 მაყურებელი**

„პანათინაიკოსთან" მარცხით გაწბილებულმა გულშემატკივრებმა ფეხბურთელებისგან გმირობა მოითხოვეს, ათენში კი ბერძნულმა გუნდმა ბოლო თორმეტი საევროთასო მატჩიდან ათი მოიგო და მხოლოდ ორჯერ დაუზავდა მეტოქეს.

„პორტუს" მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ ქომაგთა გასაგონად თქვა: „მე მხოლოდ გუნდის მწვრთნელი ვარ და არა მესია. ჩვენზე უკეთ უეფას თასზე არც ერთ პორტუგალიურ გუნდს არ უთამაშია".

კლუბის პრეზიდენტმა კი მატჩამდე ასე ბრძანა: „ჩვენ შეგვიძლია, მოვუგოთ ნებისმიერ მეტოქეს ნებისმიერ ამინდში. თუ „პორტუს" „სპორტინგისა" და „ბენფიკას" დამარცხება სტუმრად ძალუძს, რატომ ვერ გავიმარჯვებთ ათენში?".

მართალი კაცი ყოფილა პრეზიდენტი ჟორჟე და კოშტა. მისმა გუნდმა ძირითად დროშიც მოიგო და დამატებითშიც. მატჩის გმირი 27 წლის დერლეი სილვა გახდა. „პორტუ" ამჟამად ძალიან კარგ ფორმაში და საეჭვო იყო, რომ „პანათინაიკოსი" მეტოქეს იოლად გაუსწორდებოდა. პირიქით, პირველი ტაიმის განმავლობაში სწორედ სტუმრები თამაშობდნენ უკეთ და გოლიც მოიმკეს. პოსტიგას ფლანგურ გარღვევას საჯარიმოს წინ პასი მოჰყვა, ბურთს დერლეი სილვა დახვდა და ოციოდ მეტრიდან გაიტანა. მოგვიანებით დეკუს დარტყმული ძელს მოხვდა და მასპინძლები მეორე გოლს გადაურჩნენ.

ბერძნებმა ბევრი ვერაფერი შექმნეს. შესვენებამდე ერთხელ ლიბეროპულოსმა დაჰკრა შორიდან, მაგრამ ვიტორ ბაია არ შეუწუხებია. რამდენჯერმე კოლკამ შეინავარდა მეტოქის საჯარიმოში, თუმცა მის მონდომებას შედეგი არ მოჰყოლია.

დამატებით დროში ისევ „პორტუს" ბრაზილიელმა დერლეიმ იყოჩაღა. მის ცბიერ დარტყმულს ნიკოპოლიდისმა მხოლოდ თვალი გააყოლა. მასპინძლები მაშინღა გამგელდნენ, როცა მატჩის დასასრულს აღარაფერი უკლდა. ისევ კოლკას და ლიბეროპულოს შეეძლოთ „პანათინაიკოსის" გადარჩენა, მაგრამ პორტუელებმა ბერძნულ წნეხს ბოლომდე გაუძლეს.



დეკო სოუზამ და იან მიკაელსენმა ბურთი ვერ გაიყვეს

***ბოავიშტა* (*პორტუგალია*)** 1:0დ.დ.(პენ.4:1, 1:0) **მალაგა** (ესპანეთი) (0:1)

**1:0 კლაუდიუ (83)**
**ბოავიშტა: რ. პერეირა, მარტელინიუ, პაულუ ტურა, ედერი, მარიუ, ფილიპე, ჟოსივალტერი (ალეშანდრე 59), პედროსა (პედრუ სანტუში 92), დუდა ვენტურა, ჟორჟე სილვა (კლაუდიუ 18), ელპიდიუ სილვა**
**მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ**
**მალაგა: კონტრერასი, როტეტა, ხოსემი, ფ. სანსი, ლიტოსი, ბრავო, მიგელ ანხელი, სანდრო (კანაბალი 65), მანუ, მუსამპა (ლეკო 96), დარიო სილვა (დელი ვალდესი 69)**
**მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი**
**გაფრთხილება: ფილიპე, მიგელ ანხელი, კლაუდიუ, მანუ, ხოსემი, ჟოსივალტერი, ლიტოსი, დარიო სილვა, პედრუ სანტუში**
**მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)**
**8 500 მაყურებელი**

„ბოავიშტამ" უეფას თასზე სტუმრად ჩატარებული ყველა მატჩი წააგო, მაგრამ შინ გამარჯვების წყალობით აგერ, ნახევარფინალს უწია. ბოავიშტელებს მეტოქის გაწვალება ჰყვარებიათ და შესძლებიათ კიდეც.

ბერლინის „ჰერტაც" ხომ ასე ანერვიულეს. შეხვედრის ბოლომდე 0:0 იყო და 87-ე წუთზე გაუტანეს. ამჯერად იგივე სცენარით ითამაშეს „მალაგასთან". ესპანელები დაცვაში ჩასხდნენ, მასპინძლებს მოედნის მეტი წილი დაუთმეს და პირველ ტაიმში კონტრერასმა რამდენიმე დარტყმა მოიგერია.

შესვენების შემდეგ პორტუელებს ნერვიულობა დაეტყოთ, ქაოსურად უტევდნენ და „მალაგელთა" კონტრიერიშებიც გამოეპარათ. დრო იწურებოდა, „მალაგა" საზეიმოდ იყო შემართული, როცა ლუიშ კლაუდიუმ საჯარიმო უზადოდ შეასრულა და „დუ ბესაზე" შეკრებილი გულშემატკივრები გაახარა.

სიხარულმა ისე ააფორიაქა „ბოავიშტა", რომ მატჩის მიწურულს კინაღამ დაისაჯა. მალაგელმა დელი ვალდესმა ორჯერ თითქმის ასპროცენტიანი შანსი ვერ გამოიყენა.

დამატებულ ნახევარ საათში დაღლილი ფეხბურთელები მოედანზე დალასლასებდნენ, თუმცა მასპინძელ ელპიდიუ სილვას სამი-ოთხი მომენტიდან ერთიც რომ გამოეყენებინა, პენალტებამდე საქმე არ მივიდოდა.

თერთმეტმეტრიანების სერია „ბოავიშტას" მეკარემ რიკარდუ პერეირამ დაიწყო და კონტრერასს გაუტანა. მალაგელმა ლეკომ კარს ააცილა, ხოლო ელპიდიუ სილვამ 2:0 გახადა. მერე ესპანელმა მიგელ ანხელმა გამოიყენა თავისი დარტყმა. კლაუდიუმ მესამე შეაგდო, ხოლო მალაგელ ლოპეს ბრავოს რიკარდუ პერეირამ აჯობა. გადამწყვეტი, მეოთხე დარტყმა ალეშანდრემ შეასრულა და „ბოავიშტა" ნახევარფინალში გაიყვანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003

## მეოთხედფინალის წილისყრა

8 — 23 აპრილი

რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)

აიაქსი (ამსტერდამი, ჰოლანდია) — მილანი (იტალია)

9 — 22 აპრილი

ინტერი (მილანი, იტალია) — ვალენსია (ესპანეთი)

იუვენტუსი (ტურინი, იტალია) — ბარსელონა (ესპანეთი)

## ნახევარფინალის წილისყრა

6 — 14 მაისი

რეალი ან მანჩესტერი — იუვენტუსი ან ბარსელონა

7 — 13 მაისი

აიაქსი ან მილანი — ინტერი ან ვალენსია

## ფინალი

მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი". 28 მაისი




## რეალი VS მანჩესტერი



ივან ელგერას და პოლ სქოულზს ლიგის მეოთხედფინალში ისევ მოუწევთ შებმა

# კომპლიმენტების ისტორია

გეხსომებათ, მეორე ჯგუფური ეტაპის ბოლო, არაფრისმთქმელი მატჩის შემდეგ, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედმა" საყმაწვილო შემადგენლობით ლა კორუნიაში, „დეპორტივოსთან" წააგო, ინგლისელთა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა მეოთხედფინალში სწორედ „რეალთან" შეხვედრა ისურვა. ისიც გეხსომებათ, რომ იმავე ტურში, მოსკოვში „ლოკომოტივთან" გამარჯვების შემდეგ, „რეალის" პორტუგალიელმა ვარსკვლავმა ლუიშ ფიგუმ მეოთხედფინალში „მანჩესტერ იუნაიტედი" ინატრა. ჰოდა, ინებეთ — კენჭისყრამ ორივე მხარეს პატივი სცა.

ბოლოს ეს გუნდები 1999-2000 წლების ჩემპიონთა ლიგის ამავე ეტაპზე, მეოთხედფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და ორი შეხვედრიდან ერთი, „ოლდ ტრეფორდზე" განსაკუთრებით სამახსოვრო გამოუვიდათ: მადრიდელები 3:0-ს იგებდნენ, ხოლო შემდეგ ორი გაუშვეს. ერთი სიტყვით, მაშინ, ნახევარფინალში „რეალი" გავიდა და თასიც მოიგო.

მანამდე კი „რეალი" და „მანჩესტერი" ორჯერ, ჯერ კიდევ ჩემპიონთა თასად წოდებული შეჯიბრების ნახევარფინალში დაუპირისპირდნენ. ეს ერთხელ 1956-57 წლების, ხოლო მეორედ 1967-68 წლების სეზონში მოხდა. პირველად ესპანელებმა მოიგეს, მეორედ ინგლისელებმა და ორივე შემთხვევაში, ვინც მოიგო, თასიც იმან მოიპოვა.

„კმაყოფილი ვარ, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ესპანურ გუნდს არ შევხვდით — თქვა კენჭისყრის შემდეგ „რეალის" ფრანგმა ვარსკვლავმა, ზინედინ ზიდანმა — ჩემი აზრით ჩივილის საბაბი არ გვაქვს. მეოთხედფინალიდან იოლი თამაშები არ არსებობს, თუ საბოლოო გამარჯვება გინდა, ვინც შეგხვდება უნდა ეთამაშო და აჯობო. თანაც, ის, ვინც ლიგაში გამარჯვებაზე პრეტენზიას აცხადებს, ვალდებულია „მანჩესტერ იუნაიტედს" მოუგოს, დღეს, „მანჩესტერი" ძალიან ძლიერი გუნდია".

ინგლისელთაგან კომენტარი კლუბის პრეს-ატაშემ, კენ რემსდენმა გააკეთა:

„წუხელ, სასტუმროში ვბჭობდით ვინ შეიძლებოდა შეგვხვედროდა. დღეს კენჭისყრით კმაყოფილნი ვართ, რადგან როგორც ჩვენი, ასევე მანჩესტერის ისტორია დიდი ხანია ერთდროულად ვითარდება. მადრიდელებთან მოედანს გარეთ, აგერ უკვე მრავალი წელიწადია ჩინებული ურთიერთობა გვაქვს".

**ბაჩუნა ძედია**

## იუვენტუსი VS ბარსელონა

# კამპ ნოუს ჯადო

კენჭისყრის შემდეგ „იუვენტუსის" წარმომადგენელმა რომი გაიმ განაცხადა, რომ მისი კლუბი „ბარსელონასთან" შეხვედრით კმაყოფილია.

„წინ ორი საუცხოო შეხვედრა გველის. ამასთან, იტალიურ გუნდს რომ ავცდით, ამით მთელმა შეჯიბრებამ მოიგო. ერთი სიტყვით, რაგინდა რა კუთხით, კენჭისყრამ გაამართლა. „ბარსელონა" ჩემპიონთა ლიგ[illegible] თამაშობს. ის დიადი გუნდია, დიადი ქომაგები ჰყავს და ჯადოსნური სტადიონის მფლობელია. მასთან ბრძოლა დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, მით უფრო, რომ მეტოქეს ერთი უპირატესობა აქვს — საპასუხო მატჩს შინ თამაშობს, თუმცა ჩვენ პირველ თამაშში, შინ შეგვიძლია ვცადოთ მაქსიმუმის მიღწევა".

შემდეგ გაის ავანსად ნახევარფინალზე და იქ „რეალთან" ან „მანჩესტერთან" შეხვედრაზე ჩამოუგდეს სიტყვა. „ეს ისეთი პერსპექტივაა, რომელიც ქომაგებს აღაფრთოვანებს და მეოთხედფინალს დამატებით ინტერესს მისცემს" — დასძინა გაიმ.

## აიაქსი VS მილანი

# 1995 წლის 85-ე წუთი

„მილანისა" და „აიაქსის" დაწყვილების მერე ქომაგს უთუოდ გაახსენდება 1995 წლის მაისის ის ნერვიული საღამო, როცა ეს გუნდები ვენაში, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს. იმ მატჩის ბედი აიაქსელი პატრიკ კლუივერტის გვიანმა და ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა. მომავალმა ბარსელონელმა 85-ე წუთზე გაიტანა.

მაგრამ თითო-ოროლა გულშემატკივარს თუ ეხსომება, რომ „აიაქსი" და „მილანი" ადრეც შეხვედრიან ჩემპიონთა თასის ფინალში, 1969 წელს და ის თამაში მათი პირველი ურთიერთშეხვედრაც იყო. მაშინ გამარჯვება იტალიელებს დარჩათ, ოთხი უპასუხო გოლი გაიტანეს, ამათგან სამი პიერინო პრატიმ შეაგდო.

„მე მახსოვს აიაქსთან" ორივე ფინალი — თქვა წილისყრის მერე „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ და დასძინა — მიხარია, რომ ჰოლანდიელებს შეხვდით. არა იმიტომ, რომ „ინტერის" და „იუვენტუსის" მეშინოდა, ახლა დიდი შანსია, ნახევარფინალში სამი იტალიური გუნდი გავიდეს".

1995 წლის ფინალამდე კი „აიაქსი" და „მილანი" ჯგუფშიც ერთად მოხვდნენ და „აიაქსმა" იქაც ორივე თამაში მოუგო მეტოქეს.

„ვნახოთ, ვნახოთ, ეგებ 1995 წელიც განმეორდეს — თქვა ამსტერდამელთა აღმასრულებელმა დირექტორმა არი ვან ეიდენმა — გგონიათ, შანსი არ გვაქვს? მაშინ „არსენალი" და „რომა" როგორ ჩავტოვეთ ჯგუფში?"

მოკლედ, „აიაქსი" „მილანის" წინააღმდეგ — ჩემპიონთა თასის ოთხგზის და ხუთგზის მფლობელთა სამეოთხედფინალო ბრძოლა.



1995 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი:
ახალგაზრდა „აიაქსმა" პატრიკ კლუივერტის
გოლით ფრანკო ბარეზის მრავლისმნახველი „მილანი" დაამარცხა

## ინტერი VS ვალენსია

# მოდი, აქაც ვნახოთ

„ინტერი" და „ვალენსია" აქამდე ოთხჯერ შეხვედრიან ერთმანეთს: ორჯერ ევროსათასო ფეხბურთის გარიჟრაჟზე, ორჯერაც სულ ახლახან. მაშ, ასე, მოვყვეთ:

**1961-62. ბაზრობათა თასი. მეოთხედფინალი**

ვალენსია 2:0 ინტერი; ინტერი 3:3 ვალენსია

**2001-02. უეფას თასი. მეოთხედფინალი**

ინტერი 1:1 ვალენსია; ვალენსია 0:1 ინტერი

თასების მფლობელთა თასზე ესენი ვერასდროს შეხვდებიან ერთმანეთს, ახლა კი ჩემპიონთა ლიგაში ბრძოლის დრო დაუდგათ — და კვლავ მეოთხედფინალში.

მთავარი კი, ალბათ, ის გახლავთ, რომ ექტორ რაულ კუპერს კვლავაც მოუხდება ვალენსიაში ჩასვლა, სადაც თავიდან ტაშით შეხვდებიან, ხოლო „ინტერმა" თუ მოიგო, არც სტვენას დააკლებენ.

ისე, „ვალენსია" ერთადერთია მეოთხედფინალისტთაგან, ჩემპიონთა თასი არასდროს რომ მოუგია. ფინალში კი ორჯერ გავიდა — ორჯერვე კუპერის ხელში.

გიო ახვლედიანის

## სვეტი

# დიდები დიდებზე

აპა, ჩატარდა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალების წილისყრა. ჩატარდა და ჩატარდა, სამი ესპანური, სამი იტალიური და თითო-თითო ინგლისური და ჰოლანდიური გუნდი დაეჯახა ერთმანეთს ისე ინტერნაციონალურად, რომ იტალიელებიც ასცდნენ ერთმანეთს და ესპანელებიც. ანუ, შიდაეროვნული მეოთხედფინალები არ გამოვიდა.

როგორც იტყოდა ფიზკულტურის ხორცმეტი დოლაბერიძე, ოლიმპიური სისტემა კარგია: წააგებ, წადი სახლში.

მთელი ამ წილისყრიდან გამოდგა ერთი ყველაზე ხმაურიანი წყვილი: „რეალი" — „მანჩესტერი", რომელიც გადაფარავს სამივე დანარჩენს თავისი ქარბორბალათი, ერთი ამბით, გახსენებებით, როი კინის ავტოგოლით, რედონდოს ფინტით და მთელი ისტორიებით, რომლითაც შეზავდება დღევანდელობა. წაგებული კი წავა სახლში. „რეალისთვის" გავარდნა მეტად მტკივნეული იქნება, იმიტომ, რომ „რეალმა" შეირგო გროსმაისტერული იერი და არცთუ ტყუილად, „მანჩესტერისთვის" კი მარცხი მწარეზე მწარე იქნება, რადგან ლიგის ფინალი სწორედ მანჩესტერის მშობლიურ მინდორზე უნდა გაიმართოს.

ხალხი დიდად დაეშურება ამ წყვილის მატჩების ცქერას, ვინაიდან არც ფერგიუსონ ალექსის დაუმალავს და ალბათ დელ ბოსკოც ასე ფიქრობს, რომ რაც მოხდება, მოხდეს და მოსათავებელი ახლავე უნდა მოთავდეს. ამ ორიდან ერთ-ერთი, მოწინააღმდეგეს თუ დაჯაბნის, ნახევარფინალში სულ სხვაგვარი რიხით შევა. იქ კი მას მოელის „იუვენტუსსა" და „ბარსელონას" შორის გამარჯვებული. ესეც ძაან წყვილია. ბებერი ქალბატონი ორ ფრონტზეა, ისევე როგორც „რეალი" და „მანჩესტერი", „ბარსა" კი მოწესრიგებული ჩანს და სეზონის იმედად სწორედ ლიგა დარჩენია.

ერთი ამბავი კი შეიძლება ისე მოტრიალდეს, რომ მეორე ნახევარფინალის ორივე თამაში მილანში გაიმართოს. ეს იმ დროს, თუ კუპერის „ინტერი" დაძლევს მის ყოფილ „ვალენსიას", ხოლო „მილანი" კი აღმდგარ „აიაქსს". ჩემის მოკლე ჭკუით, ეს ოთხეული მოისუსტებს ზედა ოთხეულთან შედარებით და მაისის ბოლოს ლიგის მომგები იქეთა ბიჭებშია საძიებელი. თუმცა, არავინ იცის, ვინ როგორ შეეგებება მაისს, რადგან ჯერ აპრილიც კი არ დამდგარა.

კარგი კი ის არის, რომ ჯგუფური ზოზინა ამბავი დამთავრდა და გაისადაც პირდაპირ გავარდნაზე იქნება საქმე. ტყუილად ხომ არ ამბობდა ფიზკულტურის ხორცმეტი დოლაბერიძე, ოლიმპიური სისტემა ჯობიაო. თასი გავარდნაზეა. ეგებ ამიტომაც გამოვიდა ასეთი წყვილები. დაჯერებით ვერცერთზე იტყვი, გინდა თუ არა, ეს გავაო.

ცხადია, მოველით მეოთხედფინალებს. იქ ყველაზე კარგები გავიდნენ: ზოგიერთი ძალიან ადრე, ზოგიერთი კი გვიან, მაგრამ აშკარად. წილისყრამ აშკარად გამოაფხიზლა ჩემპიონთა ლიგა.

ნამდვილი ომი სწორედ ახლა იწყება: დიდები დიდებზე.

# უეფას თასი 2002-2003
## UEFA CUP ნახევარფინალის წილისყრა

სელტიკი (გლაზგო, შოტლანდია) — ბოავიშტა (პორტუ, პორტუგალია)

პორტუ (პორტუგალია) — ლაციო (რომი, იტალია)

I მატჩები გაიმართება 10 აპრილს, საპასუხოები – 24 აპრილს

ფინალი.სევილია. 21 მაისი





გუშინდელმა წილისყრამ „სელტიკი“ მეოთხედფინალში თავგამოჩენილ რიკარდო პერეირას „ბოავიშტას“ შეახვედრა

# ყველას სევილიაში უნდა

**უეფას თასის** მაძიებელთა რიცხვი ოთხამდე შემცირდა. ორი პორტუგალიური გუნდის შეხვედრა ნახევარფინალში წილისყრამ არ ისურვა. „პორტუ“ და „ბოავიშტა“ ერთურთს რომ დაეჯახებოდნენ, ერთი მათგანი აუცილებლად გავიდოდა უეფას თასის ფინალში, რომელშიც ჯერ პორტუგალიურ გუნდს არ გაუღწევია. სამაგიეროდ, ახლა ორივეს აქვს ფინალში გასვლის შანსი. „პორტუმ“ ზედიზედ ორი წელიწადი იწვალა. შარშან და შარშანწინ უეფას თასის მეოთხედფინალამდე იარა, მაგრამ მეტი ვერ შეძლო. ამ სეზონში ნავსი გატეხა, ნახევარფინალს უწია და მეტოქედ „ლაციო“ ერგო.

რომაელებმა ხუთი წლის წინ დაკარგეს უეფას თასის ფინალი. მაშინ მათი მეტოქე ის „ინტერი“ იყო, რონალდო და ივან სამორანო რომ დაჰქროდნენ „შავ-ლურჯი“ მაისურით. მაშინ „ინტერმა“ „ლაციო“ არ დაინდო და 3:0 დაამარცხა. მას შემდეგ რომაელებს ასე შორს არ შეუტოპავთ.

აქვე ერთიც უნდა ვთქვათ. თავდაპირველად წილისყრამ გუნდები ასე დააწყვილა: „სელტიკი“ — „ ბოავიშტა“, „ლაციო“ — „პორტუ“. ისე გამოვიდა, რომ საპასუხო მატჩი ერთ დღეს, ერთ ქალაქში, პორტუში უნდა გამართულიყო. ამიტომ უეფამ „პორტუს“ პირველი შეხვედრა შინ დაუნიშნა, მეორე კი რომში.

რობერტო მანჩინის კარგი გუნდი ჰყავს და ფინალზე ფიქრობს: „ჩვენთვის, ფაქტობრივად, სულ ერთი იყო, ვის გვარგუნებდა ბედი. ნახევარფინალში სუსტი მეტოქეები აღარ არიან. [illegible] ურთულესი მატჩი გველის და უნდა მოვემზადოთ. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, პირველად შინ ვითამაშებთ თუ სტუმრად. „პორტუს“ მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავს. ბრწყინვალე ფორმაში არიან და, ეს ჩემპიონატის ცხრილიდანაც კარგად ჩანს, მაგრამ შევეცდებით, რომ ფინალში, რომელიც 21 მაისს სევილიაში გაიმართება, ჩვენ მოვხვდეთ და არა „პორტუ“.

„სელტიკი“ „ბოავიშტას“ მშობლიურ „სელტიკ პარკზე“ უმასპინძლებს, სადაც უეფას თასზე გამართული ოთხივე შეხვედრა მოიგო. „მალაგას“ კარში პენალტის გამტანმა „ბოავიშტას“ მეკარემ რიკარდო პერეირამ თქვა: „დარწმუნებული ვარ, გლაზგოელებს უხარიათ ჩვენ რომ გადაგვეყარნენ. „ბოავიშტას“ ხომ ფავორიტად ალბათ არავინ მიიჩნევს. ისინი უკვე კბილებს ილესენ, მაგრამ არც ისე ადვილია ჩვენი დამარცხება. კარგია, პირველი მატჩი გლაზგოში რომ გვაქვს. ნახევარფინალამდე ოთხივე გასვლითი შეხვედრა წავაგეთ, თუმცა შინ ყველა მეტოქე დავიფრინეთ. იმედი მაქვს, რომ ამ ტრადიციას არ დავარღვევთ. თან თუ პორტუგალიელები ფინალში გავედით, შესანიშნავი დერბი იქნება 21 მაისს სევილიაში.“

„ბოავიშტას“ გენერალურმა მენეჯერმა პაულო გონსალესმა ბრძანა: „წარმომიდგენია, რა მოხდება სტადიონზე საპასუხო შეხვედრისას. „სელტიკი“ შესანიშნავი გუნდია და მატჩის ნახვის მსურველი ბევრი იქნება. სამწუხაროა, რომ ჩვენი სტადიონი 15 ათას გულშემატკივარზე მეტს ვერ იტევს.“

საინტერესოა ერთი ფაქტიც — უეფას თასის შარშანდელ გათამაშებაში „სელტიკმაც“ და „ბოავიშტამაც“ მეოთხედფინალს მიაღწიეს, ახლა კი როგორც ჩანს, მოხდა ის, რაც ალბათ შარშან უნდა მომხდარიყო — ეს გუნდები ერთმანეთს ნახევარფინალში შეხვდებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

*[illegible] ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი [illegible] წილისყრამდე, [illegible] ლ[illegible]ად ლ[illegible]ამკობდნენ, ისე, თითქოს [illegible] წარსულს იგონებდნენ.*

*გუშინ, როდესაც უეფას ჩინოვნიკებმა რვა გუნდის დააწყვილეს, ბურთულებში ჩადებული ქაღალდებიდან სამზე სერია შ-ს წარმომადგენლის სახელი ეწერა: „იუვენტუსი“, „ინტერი“, „მილანი“.*

# იტალიური რენესანსი
## კალჩო გაყოფილი სამზე



„მილანს“, ცხადია, რივალდოს დიდი იმედიც აქვს

დიახ, 2002 წლის მარტში ევროპის უძლიერეს შეჯიბრებაში იტალიელების ხსენებაც აღარ იყო და, რაც მთავარია, ეს ზედიზედ მეორედ ხდებოდა. მაშინ ამბობდნენ, რომ იტალიელები ძველმოდურ ფეხბურთს თამაშობენ, ველარც საფეხბურთო მეურნეობას მართავენ ჯეროვნად, დაწინაურებულ ქვეყნებთან შედარებით ბევრ საკითხში დაბობლავენ და თანამედროვე სისწრაფეებს ველარ უბამენ მხარს. ამას ფინანსური კრიზისიც დაერთო.

მაგრამ აი, დადგა 2003 წლის მარტი და ვხედავთ — სურათი საპირისპიროდ შეცვლილია. რამ გამოიწვია ასეთი ტრანსფორმაცია? ლიგის მეოთხედფინალში გასული გუნდები აქამდე სხვადასხვა გზით მივიდნენ. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო მარჩელო ლიპისა და მისი „იუვენტუსის“ მაგალითია.

„იუვე“ ძირითადად ერთი ნომინალური ფორვარდით, დავიდ ტრეზეგეთი თამაშობს, თუმცა ფრანგს ოდნავ უკნიდან ალესანდრო დელ პიეროს, პაველ ნედვედისა და მაურო კამორანეზის ტრიო უმაგრებს ზურგს. ასეთი პრინციპი „იუვენტუსის“ თავდასხმის ფრონტს აფართოებს და სწრაფი კონტრშეტევის დროს დიდ ეფექტს იძლევა. ყოველივე ამას უკნიდან სოლიდური დაცვა უდგას კედლად, რაც იტალიური გუნდისგან მოულოდნელი არანაირად არ არის. დაცვასა და ზემოხსენებულ ტრიოს შორის კი ალესიო ტაკინარდის და ედგარ დავიდსის ღონიერი წყვილი მუშაობს მუხლჩაუხრელად.

ასეთია განლაგება, ზოგადი სურათის შესახებ კი, აი, რისი თქმა შეიძლება: ადრე „ბებერი ქალბატონის“ თამაში ბურთის ფლობაზე გახლდათ ორიენტირებული, ახლა — მოულოდნელ, სწრაფ და ღონიერ კონტრაფეთქებათა წილმა იმატა.

ერთი სიტყვით, თუ გრიპის ეპიდემიით დაცემული „იუვეს“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მარცხს არ ჩავთვლით, ამ სეზონში მის წინააღმდეგ ბრძოლა თითქმის ყველა მოწინააღმდეგისთვის კოშმარად იქცა.

იტალიურ კლუბთა რეანიმაციის პირველი ნიშანი კი ევროპას „მილანმა“ მისცა. ეს სეზონის პირველ ეტაპზე მოხდა, როდესაც „შავ-წითლებმა“ ჩემპიონთა ლიგაში მეტად ეფექტურად დაამარცხეს „დეპორტივო ლა კორუნია“ და მიუნხენის „ბაიერნი“. შემდეგ, „სან სიროზე“ მადრიდის რეალი ჩავიდა და და 0:1 წააგო. იმ შეხვედრაში მილანელებმა ისეთი სანახაობრივი, შემტევი ფეხბურთი ითამაშეს, რომ ძველი თაობის, დაცვის მოყვარული იტალიელი მწვრთნელები, ალბათ, თავს აკანტურებდნენ.

„მილანს“ ნახევარდაცვაში რივალდო და რუი კოშტა ჰყავს, ბურთის ფლობისა და პასის ორი ოსტატი. მათ უკან გამოცდილი და მძლავრი გვარდიაა — ანდრეა პირლო, ფერნანდო რედონდო, კლარენს ზეედორფი... მაგრამ, „შავ-წითელთა“ მწვრთნელს, კარლო ანჩელოტის კარგად უნდა ესმოდეს, რომ ბურთის გათამაშება და კონტროლი ფართოფრონტიანი თავდასხმის გარეშე საუკეთესო შედეგს ვერ მოიტანს.

ერთი იტალიელი ჟურნალისტი წერდა, რომ „მილანის“ თამაში „დორტმუნდთან“ დისკოს ნელ ცეკვას ჰგავდა და თუ „მილანს“ ამ სეზონში სკუდეტოს მოპოვება სურს, აუცილებლად უნდა აღიდგინოს ის ენერგია, რომლითაც სეზონის პირველ ნახევარში ამარცხებდა მეტოქეებს.

„ინტერი“, მეოთხედფინალში გასულ იტალიელთაგან ყველაზე უსახურია მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელიც არგენტინელი ჰყავს და გუნდიც იტალიელთა და სამხრეთამერიკელთა ნაზავს წარმოადგენს. და მაინც, წამყვანი ფეხბურთელების ტრავმათა მიუხედავადაც კი, ლიგის ბოლო ორ შეხვედრაში, „ნიუკასლისა“ და „ლევერკუზენის“ წინააღმდეგ, „შავ-ლურჯებმა“ დაამტკიცეს, რომ ძალისმიერი და გარკვეულწილად სწორხაზოვანი თამაშითაც შეუძლიათ უმაღლეს დონეზე შედეგის მიღწევა.

ასე და ამგვარად, შედეგი თვალსაჩინოა და კარგია, მაგრამ ეს ის ფეხბურთი მაინც არ არის, „ინტერი“ საუკეთესო წლებში რომ მისდევდა.

საბოლოოდ რა ხდება? ნუთუ კალჩო სამი გზით ვითარდება? დაიყო?

ჯერ ზუსტი პასუხის გაცემა არ შეიძლება, მაგრამ ერთი ფაქტია, გუშინ, კენჭისყრისას, სამივე იტალიური გრანდის მწვრთნელი და პრეზიდენტი ყველაზე ნაკლებად ერთმანეთთან შეხვედრას უფრთხოდნენ და გაუმართლათ. დიდი შანსია სამივემ ნახევარფინალს უწიოს.

**საიმონ ევანსი**
*როიტერი*



„იუვენტუსის“ მთავარმეგოლე დავიდ ტრეზეგე

# თეთრი ლაქა სირცხვილია!

## დღესასწაული გერმანელების გარეშე ჩაივლის






აგერ უკვე მესამე დღეა, სრულიად საფეხბურთო გერმანია შოკირებული და დაბოღმილია. ასეთი სირცხვილი გერმანულ ფეხბურთს უკვე 19 წელიწადია არ შემთხვევია — ევროტურნირების მეოთხედფინალები გერმანული კლუბების გარეშე ჩაივლის. ნუთუ ასეთი უსუსურნი ვართ — კითხულობს აქაური მედია. ფაქტი ერთია, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ ეტაპზე სამ-სამი იტალიურ-ესპანური, თითო-თითოც ინგლისურ-ჰოლანდიური გუნდები გავიდნენ. ხოლო უეფას თასის მეოთხედფინალში რომ ვერცერთი გერმანული კლუბი ვერ მოხვდა, ეს დიდი ხანია ცნობილია — აქ უკვე ნახევარფინალისტთა ვინაობაც გარკვეულია. „ეს სირცხვილი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონობის შემდეგ უფრო მწარეა, რადგან როცა გვეგონა მსოფლიოს ფეხბურთის გრანდებში დავბრუნდით, სწორედ მაშინ ჩაგვცეს ლახვარი ჩვენმა კლუბებმა" — წერს გაზეთი „ბილდი" და ამატებს, ევროპა საფეხბურთო დღესასწაულს მოიწყობს, ჩვენ კი თამაშგარე ვიდგებით.

არადა, სეზონის წინ გერმანელებს მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდათ, რაც შეიძლება კარგად გამოსულიყვნენ ევროტურნირებზე, რათა ჩემპიონთა ლიგაში შარშან დაკარგული მეოთხე ადგილი დაებრუნებინათ. თუმცა კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. წლევანდელმა შედეგებმა ისინი მიზანს საგრძნობლად დააშორა.

პირველი შოკი გერმანელებს ჯერ კიდევ გვიან შემოდგომაზე, „ბაიერნის" გავარდნამ მოჰგვარათ. პირველი ჯგუფური ტურნირი ლიგის მოგების ერთ-ერთმა ფავორიტმა მხოლოდ ორი ქულით ჩაამთავრა, რასაც კინაღამ მთავარი მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი შეეწირა. „დორტმუნდის" იმედი კი ბოლო წუთამდე ჰქონდათ, ოპტიმისტებს „ლოკომოტივის" „რეალთან" წარმატების ეიმედებოდათ, მთავარია, ჩვენ მოვუგოთ „მილანსო". „დორტმუნდმა" „სან სიროზე" კი იმარჯვა, მაგრამ რონალდოს მოსკოვურმა გოლმა ზამერი და მისი ბიჭები თავისი ქვეყნითურთ ოფსაიდში დატოვა.

„ლევერკუზენის" „საგმირო" საქმეებზე ხომ მელნის გახარჯვა (დროის დაკარგვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) არც ღირს.

ყოველივე ამის შემდეგ ისმის ლოგიკური კითხვა: სად დგას გერმანული ფეხბურთი? ამ კითხვაზე „ბილდი" ევროპის ახალი საფეხბურთო რუკით პასუხობს. სადაც თეთრად არიან აღნიშნული ის ქვეყნები, რომლებსაც მსოფლიოს გრანდთა შორის არაფერი ესაქმებათ, მათ შორისაა გერმანიაც.

ამ რუკას, ცხადია, შესაბამისი სტატიაც აქვს წამძღვარებული — ჩვენი კლუბები მთელ ევროპას შიშის ზარს სცემდნენ. „ბაიერნმა" ორი წლის წინ ლიგა მოიგო, „ლევერკუზენი" შარშან ფინალში იყო, თუმცა ეს ყველაფერი უკვე წარსულია, ახალ ევროპულ საფეხბურთო რუკაზე გერმანია მხოლოდ თეთრი ლაქაა — აღნიშნულია წერილში.

გერმანელებს ჭრილობაზე მარილს აყრის იტალიური გამოცემა „გაძეტა დელო სპორტი". „გერმანია ევროპიდან გაუჩინარდა, „ბაიერნი", „ლევერკუზენი" და „დორტმუნდი" გავარდნენ, ისევე როგორც უეფას თასზე მონაწილე ამ ქვეყნის კლუბები. ნავსი გატეხილია, გერმანული უძლეველობა წარსულს ჩაბარდა".

გერმანულ ფეხბურთის წარუმატებლობებთან დაკავშირებით ლეგენდარულმა ფრანც ბეკენბაუერმა წერილიც კი გამოაქვეყნა.

„რატომ ვართ ამ მდგომარეობაში? რა აქვთ სხვა ქვეყნებს ისეთი, რაც ჩვენ გვაკლია? — წერს „კაიზერ ფრანცი" და პასუხობს — ჩვენ არ გვყავს ვარსკვლავები, ანუ ის მოთამაშეები, რომლებსაც მსოფლიო დონის ოსტატებს უწოდებენ. რომ დავფიქრდეთ, ბუნდესლიგა ევროპის წამყვან ლიგებს სულაც არ ჩამორჩება, მე თუ მკითხავთ, ჩვენი საშუალო გუნდები, იტალიის, ესპანეთის და ინგლისის საშუალო დონის გუნდებს აღემატებიან კიდეც, მაგრამ, აბა, მოწინავეები ვნახოთ. „რეალს" ჰყავს ზიდანი და რონალდო, „მანჩესტერს" ვან ნისტელროოი და ბექემი, „არსენალს" ანრის, პირესის, ვიეირისა და ვილტორდის სახით ნახევარი საფრანგეთის ნაკრები. ჩვენ კი ვარსკვლავთა შეძენის საშუალება არ გვაქვს. როგორც ჩანს, ფინანსურ საქმეებს სხვა ქვეყნები უკეთ განაგებენ, ვიდრე ჩვენ" — ამგვარად ხსნის იმპერატორი, რომლის აზრითაც გერმანული კლუბები უეფას თასზე უფრო სამარცხვინოდ გამოვიდნენ, ვიდრე ჩემპიონთა ლიგაში. „შალკე" და „ჰერტა" ისეთ გუნდებთან ნამდვილად არ უნდა ვარდებოდნენ, როგორებიც პოლონური „ვისლა" და პორტუგალიური „ბოავიშტა" არიანო.

შედარებით მარტივად უყურებს ყველაფერს გერმანიის ნაკრების თავკაცი რუდი ფიოლერი. „შარშან „ლევერკუზენი" ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი გახლდათ, „დორტმუნდმა" კი უეფას თასის ფინალი დათმო. ამ ერთი წლის განმავლობაში ბუნდესლიგას დაღმასვლა ნამდვილად არ ჰქონია, ამიტომ კრიზისზე საუბარი ზედმეტია, უბრალოდ ყველაფერი შემთხვევითობაა" — ამგვარად ხსნის „მეფე რუდი".

საინტერესოა სხვა ცნობილი გერმანელების კომენტარებიც. პოლ ბრაიტნერის აზრით, გერმანული კლუბების წლევანდელი შედეგი ასეთი შემაშფოთებელი იმიტომაა, რომ „ბაიერნის" ნაადრევ გამოვარდნას არავინ ელოდა. მანფრედ კალცი, ყველაფერს ახალთაობელთა უსუსურობით ხსნის. არყოლით ხსნის და შიშობს, რომ მომავალში შესაძლოა უფრო უარესიც მოხდეს.

„დორტმუნდის" თავკაცი მათიას ზამერი ფიოლერის აზრს იზიარებს. კრიზისზე საუბარს ისიც გადამეტებულად მიიჩნევს და გასულ სეზონს იხსენებს, მაშინ იტალიელებიც ზუსტად იგივე დღეში იყვნენ, თუმცა დღეს უკვე სამი გუნდი ჰყავთ ლიგის მეოთხედფინალში, ერთიც უეფას თასის ნახევარფინალში. კრიზისზე მაშინ ვისაუბროთ, თუ ხუთი წლის შედეგების ჯამიც ასეთი ნეგატიური იქნებაო, ასკვნის ზამერი. ასევე ოპტიმისტურადაა განწყობილი მისი შტუტგარტელი კოლეგა ფელიქს მაგათიც, რომელიც გაისად გერმანული კლუბებისგან ბევრად უკეთეს შედეგებს არათუ ელის, არამედ დარწმუნებულიც კია ამაში. პოდა, არც მომავალი სეზონია ძალიან შორს...

**ვანო ოქროპირიძე**
*ბერლინიდან*

# ტერი ვარ, შტერი კი არა!

## გოლს ფულით ვერ გაიტანო, თქვა ვენეიბლზმა და წავიდა

რა ჰქნას კარგმა მონარდემო, ტერი ვენეიბლზის „ლიდს იუნაიტედში" მუშაობაზეა ნათქვამი: 2002 წლის 8 ივლისს, როცა 59 წლის მწვრთნელმა იორკშირულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მის განკარგულებაში რიო ფერდინანდი, რობი კინი, რობი ფაულერი, ოლივიე დაკური, ლი ბოიერი და ჯონათან ვუდგეიტი იყვნენ. ახლა არც ერთი მათგანი „ლიდსში" აღარ ირიცხება და აწ უკვე 60 წლის ვენეიბლზის მოთმინების ფიალაც აივსო — გუშინ „ელ ტელი" გადადგა. ჩვენთვის შეიძლება გაუგებარი იყოს, მაგრამ პირველად ამის შესახებ... ლონდონის აქციათა ბირჟაზე მოღვაწე ბროკერებს აცნობეს — „ლიდს იუნაიტედი" ხომ სააქციო საზოგადოებაა და მასში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება უპირველესად აქციათა ფასზე ისახება.

...ახლა ბრიტანეთში გადადგომით ვერავის გააკვირვებთ, მაგრამ მინისტრთა კაბინეტის წევრთა წასვლის გამო ტერი ვენეიბლზის გუშინდელი ნაბიჯი სულაც არ დაჩრდილულა. ინგლისის ნაკრების ოდინდელი ნახევარმცველი ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ და წარმატებულ სპეციალისტად ითვლება. 27-წლიანი მუშაობის დროს „ქუინზ პარკ რეინჯერსიდან" დაწყებული და „ბარსელონათი" (1985 წელს ჩემპიონობა მოაპოვებინა 11-წლიანი შესვენების შემდეგ) და ინგლისის ნაკრებით დამთავრებული, ყველგან თავის კვალს ტოვებდა. „ლიდსამდეც", 5 თვით ჩაიბარა გასავარდნ ზონაში მყოფი „მიდლსბრო" და გადაარჩინა.

თითქოს არც „ლიდსში" უნდა გაჭირვებოდა. დევიდ ოლირის დანატოვარი გუნდი პრემიერლიგაში ერთ-ერთ უძლიერესად ითვლებოდა, მაგრამ კლუბის თავმჯდომარეს პიტერ რიდსდეილს თურმე სხვა გეგმები ჰქონდა — ვენეიბლზთან კონტრაქტის გაფორმებიდან ორ კვირაში რიდსდეილმა რიო ფერდინანდი „მანჩესტერ იუნაიტედში" 47 მილიონ დოლარად გაყიდა და დაიწყო...

ბოლო წვეთი ჯონათან ვუდგეიტის „ნიუკასლში" გადასვლა გამოდგა. ეს 31 იანვარს მოხდა და მას მერე ტერისა და კლუბის თავმჯდომარის შეხლა-შემოხლა გარდაუვალი შეიქნა. ექსპერიმენტული შემადგენლობით გუნდმა ბოლო 8 პრემიერლიგური მატჩიდან ოდენ ერთის მოგება შეძლო, გასულ კვირას კი ჯერ თასს გამოეთიშა პირველდივიზიონელ „შეფილდ იუნაიტედთან" წაგების შემდეგ, უქმეებზე კი შინ, „ელანდ როუდზე", 2:3 დამარცხდა „მიდლსბროსთან". შედეგად, „ლიდსს" გასავარდნ ზონას მხოლოდ სამი საფეხური და 7 ქულა აშორებს. ამიტომაც ეახლა ხუთშაბათ საღამოს ვენეიბლზი რიდსდეილს და გოლებს ფულებით ვერ გაიტანო, მიახალა.

მოკლედ, ვენეიბლზმა თავისი გზა ნახა, რ[illegible] კი ახალი მწვრთნელი უმალ იპოვა. „ლიდსს" დროებით უთავკაცებს პიტერ რიდი, რომელიც, გეხსომებათ, შარშან „სანდერლენდს" წვრთნიდა და ზედიზედ წაგებული თამაშების მერე იქაურობა ნებით დატოვა.

**გიგა კობახიძე**



პიტერ რიდსდეილმა „ლიდსიდან" გაქცეული ტერი ვენეიბლზის ნაცვლად „ელანდ როუდზე" პიტერ რიდი მიიყვანა



UAB "Biljardai"
Zeus Company
Biljardai
ბილიარდის მაგიდები და აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელების


კონსულტაციები, გარანტია
ფასდაკლება, რემონტი, რესტავრაცია
ტ: 95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, უზნაძის ქ. N2

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,
II კორპუსი, IV სართული,
15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ
39-48-29, 38-11-14

## იტალია

პაპუნა კედია



თუ კლარენს ზეედორფი და „მილანი“ „იუვენტუსს“ აჯობებენ, სკუდეტოსთვის ბრძოლასაც თამამად განაგრძობენ

# მილანო, მილანო, კიდევ ითამაშებ ფრესა?

| XXVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მოდენა | - | რეჯინა |
| მილანი | - | იუვენტუსი |
| **ხვალ** | | |
| კომო | - | ბოლონია |
| ემპოლი | - | ბრეშა |
| ატალანტა | - | კიევო |
| უდინეზე | - | ინტერი |
| პარმა | - | ლაციო |
| ტორინო | - | პერუჯა |
| რომა | - | პიაჩენცა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 25 | 17 | 6 | 2 | 48:16 | 57 |
| ინტერი | 25 | 17 | 3 | 5 | 51:27 | 54 |
| მილანი | 25 | 14 | 7 | 4 | 44:19 | 49 |
| ლაციო | 25 | 11 | 12 | 2 | 44:25 | 45 |
| კიევო | 25 | 12 | 5 | 8 | 34:27 | 41 |
| პარმა | 25 | 10 | 9 | 6 | 43:28 | 39 |
| უდინეზე | 25 | 10 | 6 | 9 | 25:26 | 36 |
| ბოლონია | 25 | 9 | 8 | 8 | 29:27 | 35 |
| პერუჯა | 25 | 9 | 7 | 9 | 31:32 | 34 |
| რომა | 25 | 8 | 8 | 9 | 37:34 | 32 |
| ბრეშა | 25 | 7 | 11 | 7 | 28:30 | 32 |
| ემპოლი | 25 | 7 | 6 | 12 | 30:39 | 27 |
| მოდენა | 25 | 7 | 6 | 12 | 18:35 | 27 |
| რეჯინა | 25 | 7 | 5 | 13 | 26:42 | 26 |
| ატალანტა | 25 | 5 | 10 | 10 | 26:37 | 25 |
| პიაჩენცა | 25 | 5 | 4 | 16 | 23:42 | 19 |
| კომო | 25 | 2 | 10 | 13 | 17:41 | 16 |
| ტორინო | 25 | 3 | 7 | 15 | 16:43 | 16 |

**თქვენს მონა-მორჩილს,** ამ სიტყვების ავტორსა და იტალიის ჩემპიონატის მიმომხილველს „მილანივით“ მოუვიდა: სეზონი ენერგიულად დაიწყო, გაზაფხულზე კი „პოროხი“ გამოელია. წარმოიდგინეთ რომაული დერბი, რომლის შესახებაც, ბუნებრივია, ანონსიცა და მიმოხილვაც ამაღლებულ ხარისხში უნდა დაწერო, ამ სეზონში ოთხჯერ იმართება, ამას დაამატეთ მილანური დერბი, „იუვენტუსი“—„ლაციო“, „იუვენტუსი“—„რომა“, „იუვენტუსი“—„ინტერი“, „იუვენტუსი“—„მილანი“... ბოლოს და ბოლოს, შეიძლება ერთმა ადამიანმა... ჯანდაბას, ადამიანმა არა — ჟურნალისტმა ცხრა თვის მანძილზე ამდენჯერ მოიკრიბოს მთელი ძალ-ღონე და დაწეროს: დღეს სერია A-ში დიდი მატჩია. ერთმანეთს ყველაზე, ყველაზე და ასე შემდეგ?

მაშ ასე, დღეს სერია A-ში დიდი მატჩია: „სან სიროზე“ „მილანი“ „იუვენტუსს“ მასპინძლობს. „შავ-წითლები“, რომელთაც საჩემპიონო ამბიცია ჯერ არ განელებიათ, ლიდერსა და სკუდეტოს მფლობელს, „ბებერ ქალბატონს“ დაუხვდებიან. მასპინძლებს დამარცხების უფლება არ აქვთ, რადგან ფრიად სანახაობრივი თამაშის მიუხედავად, იანვრის შემდეგ ისეთ ძალას ველარ გვაჩვენებენ, სეზონის დასაწყისში რომ გვაჩვენებდნენ. „ატალანტასთან“, „კიევოსა“ და „რეჯინასთან“ ზედიზედ სამმა ფრემ კარლო ანჩელოტისა და მის გუნდს მეტად მნიშვნელოვანი ქულები დააკლო. მწვრთნელს სულ მეტად და მეტად აკრიტიკებენ, კრიტიკის მიზეზი კი ერთი თავდამსხმელით თამაში გახლავთ. ბევრის აზრით, გოლების ნახევარდაცვიდან გატანის სურვილი სწორი არ არის, მით უფრო, რომ კახა კალაძისა და სერჟინიოს არყოფნა (დაშავებულნი გახლავან) მათ ფრონტს ავიწროვებს. არადა, „მილანს“ თავდასხმაში არ უჭირს, „იუვენტუსის“ ყოფილ ვარსკვლავთან, ფილიპო ინძაგისთან ერთად ხომ მძლავრი უკრაინელის, ანდრეი შევჩენკოს გამოყვანაც შეიძლება.

და, სწორედ ასე წერია სავარაუდო შემადგენლობაში. როგორც ჩანს, ანჩელოტიმ კრიტიკოსთა რჩევები ისმინა, თუმცა ორი თავდამსხმელის გამოყვანა, მეორე მხრივ, რივალდოს დასვენებას ნიშნავს, რადგან ბრაზილიელი მაინცდამაინც კარგ ფორმაში არ გახლავთ.

„იუვენტუსი“ „მილანის“ მსგავსად, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტია, რომელმაც სერია A-ში, ამ მნიშვნელოვანი თამაშის წინ ზედიზედ ექვსი გამარჯვება მოიპოვა. „სან სიროზე“ მოგებით, „ბებერი ქალბატონი“ ერთი, რომ უმნიშვნელოვანეს სამ ქულას მიიღებს, მეორეც, „მილანს“ სკუდეტოსთვის ბრძოლიდან, ფაქტობრივად, გამოთიშავს და მესამეც — თუ ეს რამეს ნიშნავს — „შავ-წითლებს“ შინ პირველ მარცხს აწვნევინებს.

ტურინელთა ვარსკვლავი, ალესანდრო დელ პიერო სულ მცირე ერთ ტაიმს ითამაშებს, მოედანზე იქნება დავიდ ტრეზეგეც, რომელიც, ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში ბაზელში, თითქოს დაშავდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მსუბუქად.

„მილანი“ ჯერ კიდევ ფავორიტთა სამეულშია, წინ კი ბევრი ტურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — ამბობს „იუვენტუსის“ ჩეხი ვარსკვლავი პაველ ნედვედი — „ჩვენ, ცხადია, მოგებას შევეცდებით, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იქნება თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ლაციოსდროინდელი თანაგუნდელი, ალესანდრო ნესტა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მცველია“.

ჩეხს, მოგეხსენებათ, საუცხოო სეზონი უდგას და ათასგვარი ეპითეტებით ამკობენ, მაგრამ თავად ასე ბრძანებს: „ჩემთვის ეს მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო სეზონია, მაგრამ იტალიელ ხალხს ასეთი თვისება აქვს: თუ კარგად თამაშობ, ზედმეტად გაქებენ, ხოლო თუ ცუდად — დაუნდობლად გაკრიტიკებენ. მე მხოლოდ ჩემს საქმეს ვაკეთებ და თავს ზინედინ ზიდანის მემკვიდრედ ვერ აღვიქვამ. რაც შემიძლია ვმუშაობ, შეუცვლელი კი ნამდვილად არ გახლავართ. ჩემზე გაცილებით მნიშვნელოვანი ფეხბურთელები ალესანდრო დელ პიერო და დავიდ ტრეზეგე არიან“.

ფავორიტთა სამეულის მესამე წევრი, მილანისავე „ინტერი“ კი უდინეში თამაშობს. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველ შეხვედრაში, რომელიც ნოემბერში „სან სიროზე“ გაიმართა, „უდინეზემ“ ყოვლად მოულოდნელად 2:1 იმარჯვა. მაშინ გოლები დანიელმა მარტინ იორგენსენმა და რობერტო მუციმ გაიტანეს. ამის შემდეგ იორგენსენს ფიზიკური მომზადების პრობლემები შეექმნა და რამდენიმე კვირა გამოტოვა კიდეც, მაგრამ ახლა ისევ შემადგენლობაშია.

„ინტერს“, არ არის გამორიცხული, ამ შეხვედრაში, ცოტა ხნით მაინც, ერნან კრესპო დაუბრუნდეს. თავდასხმის მქუხარე ტრიო: კრისტიან ვიერი, ალვარო რეკობა და გაბრიელ ბატისტუტა კი მოედანზე იქნებიან.

## ინგლისი

ირაკლი ნინიძე

# ლიდერი ორჯერ შეიცვლებაო

## მანჩესტერი მარტიდან მარტამდე

| XXXI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვესტ ჰემი | — | სანდერლენდი |
| ბირმინგემი | — | ვესტ ბრომვიჩი |
| ჩელსი | — | მანჩესტერ სიტი |
| მანჩესტერი | — | ფულემი |
| მიდლსბრო | — | ჩარლტონი |
| ნიუკასლი | — | ბლექბერნი |
| საუთჰემპტონი | — | ასტონ ვილა |
| **ხვალ** | | |
| ლივერპული | — | ლიდსი |
| არსენალი | — | ევერტონი |
| **ზეგ** | | |
| ბოლტონი | — | ტოტენჰემი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 30 | 19 | 6 | 5 | 64:32 | 63 |
| მანჩესტერი | 30 | 18 | 7 | 5 | 48:27 | 61 |
| ნიუკასლი | 30 | 18 | 4 | 8 | 49:34 | 58 |
| ჩელსი | 30 | 14 | 9 | 7 | 52:31 | 51 |
| ევერტონი | 30 | 14 | 8 | 8 | 38:34 | 50 |
| ლივერპული | 30 | 13 | 10 | 7 | 44:30 | 49 |
| ბლექბერნი | 30 | 12 | 10 | 8 | 37:32 | 46 |
| ჩარლტონი | 30 | 13 | 6 | 11 | 39:38 | 45 |
| საუთჰემპტონი | 30 | 11 | 10 | 9 | 32:30 | 43 |
| ტოტენჰემი | 30 | 12 | 7 | 11 | 43:43 | 43 |
| მიდლსბრო | 30 | 11 | 8 | 11 | 38:34 | 41 |
| სიტი | 30 | 12 | 5 | 13 | 40:44 | 41 |
| ფულემი | 30 | 10 | 8 | 12 | 35:37 | 38 |
| ასტონ ვილა | 30 | 10 | 5 | 15 | 31:35 | 35 |
| ლიდსი | 30 | 10 | 4 | 16 | 37:42 | 34 |
| ბირმინგემი | 30 | 8 | 8 | 14 | 27:41 | 32 |
| ბოლტონი | 30 | 6 | 11 | 13 | 32:47 | 29 |
| ვესტ ჰემი | 30 | 6 | 9 | 15 | 32:53 | 27 |
| ვესტ ბრომვიჩი | 30 | 5 | 6 | 19 | 21:46 | 21 |
| სანდერლენდი | 30 | 4 | 7 | 19 | 19:48 | 19 |

**ჩემპიონთა ლიგიდან** გავარდნილი არსენალელები, საღამოს, თბილისის დროით შვიდი საათისთვის, პრემიერლიგის ცხრილს რომ ჩახედავენ, შესაძლოა საკუთარი თავი პირველ ადგილზე ველარ აღმოაჩინონ, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელებს იგივე შეიძლება კვირას საღამოს დაემართოთ. ანუ იმის თქმა გვსურს, რომ თუ დღეს „იუნაიტედი“ „ფულემს“ მოუგებს, ლიდერი გახდება, ხოლო თუ ხვალ „არსენალი“ „ევერტონს“ სძლევს, ისევ ახლანდელი თანაფარდობა აღდგება.

„მანჩესტერი“ პრემიერლიგის პირველ საფეხურზე შარშანდელი 24 მარტის მერე, ანუ მთელი ერთი წელი აღარ ყოფილა და ამ სეზონის დასაწყისშიც ფეხბურთის ბევრმა მცოდნემ სერ ალექს ფერგიუსონის გუნდი საჩემპიონო რბოლიდან ჩამოწერა. მაგრამ ეს „მანჩესტერია“ — გუნდი, რომლისგანაც ყველაფერს უნდა ელოდე. მან ბოლო ათი თამაშიდან რვა მოიგო, ორიც ფრედ დაასრულა და ერთი ხელის გაწვდენაზე მიუახლოვდა „არსენალს“. „ფულემის“ საქმე კი ასეა: ლონდონელებმა მიმდინარე სეზონში სტუმრად მხოლოდ ერთი თამაში მოიგეს და ვინძლო, დღევანდელ შეხვედრაში ფავორიტის გამოცნობა არ გაგიჭირდებათ.

ბოლო ხანს, როცა „არსენალზე“ ჩამოვარდება სიტყვა, იქვე კრიზისსაც ახსენებენ — „მეთოფეებმა“ ვალენსიაში მარცხამდე „ბლექბერნთან“ წააგეს და ნოემბრის შემდეგ პირველად აღმოჩნდნენ ლიდერობის დაკარგვის საფრთხის წინაშე.

„არსენალის“ მეტოქე, როგორც მოგახსენეთ, „ევერტონია“ და თუ გახსოვთ, ამათი პირველი წრის შეხვედრაში ფრიად მნიშვნელოვანი რამ მოხდა. კერძოდ, ოქტომბრის იმ საღამოს ყმაწვილმა უეინ რუნიმ „არსენალს“ ბოლო წუთზე გაუტანა და პრემიერლიგაში 30-მატჩიანი დაუმარცხებელი სვლა შეაწყვეტინა. ეს მატჩი კი გამოსამშვიდობებელი იქნება ევერტონელთა ამერიკელი ფორვარდის, ბრაიან მაკბრაიდისთვის. ის სამთვიანი იჯარის შემდეგ (8 მატჩი, 4 გოლი) მშობლიურ „კოლუმბუს ქრიუში“ ბრუნდება.

უეფას თასიდან გავარდნილი „ლივერპული“, რომელსაც ერთადერთ მიზნად ოთხეულში მოხვედრა დარჩენია, უპატრონო „ლიდს იუნაიტედს“ მასპინძლობს. უპატრონო ვახსენეთ — ბოლო ექვსი შეხვედრიდან ხუთის წაგების მერე „ლიდსის“ მენეჯერი ტერი ვენეიბლზი პოსტიდან გადადგა. თუმცა ვენეიბლზზე აქ სიტყვას ნულარ გავაგრძელებთ, რაკი მასზე ცალკე მოგითხრობთ, ანონსში კი მოგახსენებთ, რომ ლიდსელებს მთავარმეგოლე ჰარი კიუელი და მცველები, გარი კელი და მაიკლ დაბერი დაუბრუნდნენ — სამივენი დამტვრეულები იყვნენ.

„ლივერპულის“ მსგავსად „ნიუკასლსაც“ ოდენ პრემიერლიგა დარჩა. ერთი მხრივ, „კაჭკაჭებს“ არცთუ ურიგო საჩემპიონო შანსი აქვთ, მაგრამ უფრო რეალურია, ყურადღებას ოთხეულში დარჩენაზე თუ გადაიტანენ. სერ ბობი რობსონის გუნდი „არსენალის“ მძლეველ „ბლექბერნს“ მასპინძლობს, რომელიც არც თავად იტყვის უარს ოთხეულში შეძრომაზე. ჰოდა, რა გასაკვირია, თამაში გვარიანი საყურებელი თუ გამოდგება. ზედიზედ მეხუთე გამარჯვების მომლოდინე სტუმრებს ენდი კოულიც და დევიდ დანიც დაუბრუნდებიან. დანი დაშავებული იყო, ხოლო კოულმა „არსენალთან“ მატჩი, მენეჯერ გრემ სუნესთან კონფლიქტის გამო გამოტოვა.

ცხრილს თუ ჩახედავთ, მეოთხე ადგილს ერთი დუჟინი გუნდები უმიზნებენ, იქ კი ჯერჯერობით „ჩელსია“. თან რა ხდება: სამშაბათს ჩელსელებს „არსენალთან“ ასოციაციის თასის მეოთხედფინალის გადათამაშება ელით, ანუ ორად არიან გაჭრილები. არადა, „მანჩესტერ სიტისთან“ დღევანდელ შეხვედრასაც ვერ მოეკიდებიან გულგრილად, რადგან თუ წააგეს, შესაძლოა, მეექვსე ადგილამდე დაქვეითდნენ.

წინა ტურში „ჩელსის“ ტრავმის გამო ფრანგი შუახაზელი, ემანუელ პეტი აკლდა, მაგრამ ის მომჯობინდა და შუა კვირიდან გუნდთან ერთად ვარჯიში განაახლა.

ერთი საინტერესო ფაქტიც: „სიტის“ „სტემფორდ ბრიჯზე“ 1993 წლის იანვრის შემდეგ არ მოუგია.

მაჩანჩალებს თავისი პრობლემები აქვთ — „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ „სანდერლენდს“ მასპინძლობს. „ჩაქუჩებმა“ წინა სამ შეხვედრაში შვიდი ქულა მოიხვეჭეს და მართალია, გასავარდნ ზონას ჯერ ვერ ასცდნენ, ბევრიც აღარ უკლიათ და დღევანდელ შეხვედრაშიც ფავორიტებად ითვლებიან. ამასთანავე ლონდონელებს დაუბრუნდათ თილისმა პაოლო დი კანიო, რომელიც ბოლონიაში მკურნალობდა მტკივან მუხლს. თუმც იგი დღეს სასტარტო შემადგენლობაში იქნება თუ არა, ვერ მოგახსენებთ.

„სანდერლენდს“ კი, შეგახსენებთ, ახალი მენეჯერი ჰყავს — ირლანდიელი მიკ მაკარტი, რომლის სანდერლენდული დებიუტი წინა უქმეებზე მარცხით დაიწყო. ახლა მაკარტის გუნდს უსაფრთხო ზონასთან მთელი ათი ქულა აშორებს.

სტუმართაგან საეჭვოა წინა ტურში დაშავებული სტივენ რაიტის თამაში, თუმც ნახევარმცველი მაიკლ გრეი მომჯობინდა და ეგებ დაბრუნდეს.



პირველ წრეში „არსენალის“ მძლეველი უეინ რუნი კევინ კემპბელმა ზურგით ატარა

# გერმანია

დევი თავართქილაძე



ერიკ გერეტსის „კაიზერსლაუტერნმა“ თვალში გამოიხედა

# ტურის საგა

## ვის აუდგება გვერდები ფრიც ვალტერზე

**წინა ტურის** მთავარი მატჩი „კოტბუსი“ — „კაიზერსლაუტერნი“ გახლდათ და ახლაც ტოპთამაში ლაუტერნელთა შესრულებითაა — ერიკ გერეტსის გუნდი ასევე არგავარდნისთვის დამშვრალ „ლევერკუზენს“ მასპინძლობს.

ვერავის დავძრახავთ — მიუნხენის „ბაიერნის“ გაჩემპიონებაში ეჭვი ხომ არავის ეპარება და გერმანიაშიც ახლა უფრო კვიმატი და საინტერესოდ მაჩანჩალათა მატჩებია შერაცხული, თანაც „ლაუტერნი“ და „ბაიერი“ ტრადიციული გუნდები არიან.

„კაიზერსლაუტერნს“ ბოლო შვიდი მატჩი არ წაუგია და ამად აღზევდა ბოლოდან ოთხი საფეხურით.

მაგრამ სტატისტიკა „ბაიერისთვისაც“ კარგ ამბებს ღაღადებს — ლევერკუზენელებმა „ფრიც ვალტერ შტადიონზე“ ჩატარებული ბოლო ხუთი მატჩიდან ყველა მოიგეს და დღეს „ბეცენბერგზე“ ძვალთამტვრევა უნდა იყოს.

გუნდებს ახლადტრავმირებულნი არავინ ჰყავთ — ლევერკუზენელთა მცველები ლუსიო და იენს ნოვოტნი კარგა ხნით ადრე დაშავდნენ.

ფავორიტი კი მაინც „კაიზერსლაუტერნია“ — გერეტსის გუნდი ბოლო დროს თომას ჰიორსტერისაზე ბევრად უკეთ გამოიყურება, ათამაშდნენ ფორვარდები მიროსლავ კლოზე და ვრატისლავ ლოკვენცი, თვით ზარმაცი მარიო ბასლერიც კი გამუყაითდა.

ტურის ნომერ მეორე მატჩი ალბათ „ხუმარათა“ „ცისფერ ლომებთან“ ოინბაზობაა — „შალკეც“ და „მიუნხენ 1860“-იც ბოლო დროს ნამდვილად ვერ ჩუბინობენ და ვინძლო დაკონსერვებული ენერგია დღეს ამოანთხიონ — ორივე გუნდს ევროსაგზურები ელანდებათ.

„შალკეს“ სამი კაცი ჰყავს დისკვალიფიცირებული — მცველი ანიბალ მატელანი და ფორვარდები, კრისტიან პოულსენი და გუსტავო ვარელა.

მიუნხენელებს კი ჯერაც ვერ მოუმჯობინდათ 36 წლის პლეიმეიკერი თომას ჰესლერი.

„ბაიერნი“ — „ჰანზა“ თავს არავის ავატკივებთ, მაგრამ ეს ბუნდესლიგაა და შეიძლება ყველაფერი მოხდეს. ისე კი, ბავარიელებს კვლავაც არ ეყოლებათ ტრავმირებული მიხაელ ბალაკი, როსტოკელებს კი ლიდერი რენე რიდლევიჩი ჰყავთ შეუძლოთ და ნახევარმცველი კევინ ჰანსენი.

„არმინიას“ ვითომდა თავი ქუდში აქვს — გასავარდნი სამეულიდან არც თუ პატარა მანძილითაა დაშორებული, მაგრამ თუ ქულები არიგა, მალევე მიუახლოვდება მათ — დღეს ბილეფელდელთა მეტოქე „დორტმუნდი“. მასპინძლებს ისევ შეუძლოდა ჰყავთ შემტევი ილია არაჩიჩი, „დორტმუნდი“ კი ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა და თხემით ტერფამდე ბუნდესლიგას უნდა ჩაეხუტოს.

წინა ტურში „არმინიასგან“ 4:1 ნაგვემი „მიონხენგლადბახი“ შინ „ჰამბურგს“ დაუხვდება და ერთი სული აქვს, ბილეფელდური სირცხვილი ჩამოირეცხოს. ჰამბურგელებს ორი ფეხბურთელი ჰყავთ დისკვალიფიცირებული — შუახაზელი ბერნდ ჰოლერბახი და ჩეხი მცველი ტომაშ უჟფალუში.

დროა, „შტუტგარტმა“ მხოლოდ ჩემპიონთა ლიგისთვის კი არა, ბუნდესლიგური ვერცხლისთვისაც იბრძოლოს — მაგათელები ხვალისთვის გუნდის პირველი მეკარე ტიმო ჰილდებრანდს მოისაკლისებენ, ვისაც მუხლი სტკივა. „ნიურნბერგზე“ კი რაღა უნდა ვთქვათ — კლაუს აუგენტალერის გუნდმა ბოლო ორ შეხვედრაში რვა გოლი გაუშვა და ერთიც არ გაუტანია.

„ვერდერი“ — „ჰანოვერი“ ბოლო ხანს გაწბილებული ჰყავს საკუთარი ფანები „მუსიკოსებს“ — ბრემენელებს საამმატჩოდ ოთხი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი მოაკლდებათ — იოან მიკუ, კრისტიან ლისტეში, ფაბიან [illegible] ვიქტორ სკრიპნიკი.

ჩივილი შეუძლია „ჰანოვერსაც“ [illegible] გუნდში ბევრია ტრავმირებული, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვან დანაკლისს მცველი [illegible] და ნახევარმცველი დანიელ შტეფული [illegible]

„ვოლფსბურგი“ — „ბოხუმი“. ფოლკსვაგენელებს, ისევე როგორც წინა ტურში, ვერც ახლა შეეშველებათ ტრავმირებული შტეფან ეფენბერგი. „ბოხუმს“ კი ნიგერიელი ნახევარმცველი სანდი ოლისე გამოუჯანმრთელდათ.

| XXVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| შალკე | — | მიუნხენ 1860 |
| გლადბახი | — | ჰამბურგი |
| ვერდერი | — | ჰანოვერი |
| ბაიერნი | — | ჰანზა |
| ვოლფსბურგი | — | ბოხუმი |
| ლაუტერნი | — | ლევერკუზენი |
| არმინია | — | დორტმუნდი |
| **ხვალ** | | |
| ჰერტა | — | კოტბუსი |
| შტუტგარტი | — | ნიურნბერგი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 25 | 18 | 5 | 2 | 56:16 | 59 |
| დორტმუნდი | 25 | 13 | 7 | 5 | 41:20 | 46 |
| შტუტგარტი | 25 | 13 | 7 | 5 | 40:27 | 46 |
| ჰამბურგი | 25 | 11 | 7 | 7 | 32:30 | 40 |
| ჰერტა | 25 | 11 | 6 | 8 | 37:26 | 39 |
| შალკე | 25 | 9 | 11 | 5 | 35:29 | 38 |
| ვერდერი | 25 | 11 | 4 | 10 | 39:38 | 37 |
| მიუნხენი | 25 | 9 | 6 | 10 | 32:40 | 33 |
| ვოლფსბურგი | 25 | 9 | 5 | 11 | 29:33 | 32 |
| ჰანზა | 25 | 8 | 7 | 10 | 27:31 | 31 |
| არმინია | 25 | 7 | 9 | 9 | 29:32 | 30 |
| ბოხუმი | 25 | 8 | 6 | 11 | 40:45 | 30 |
| ჰანოვერი | 25 | 8 | 5 | 12 | 35:46 | 29 |
| ლაუტერნი | 25 | 7 | 7 | 11 | 33:34 | 28 |
| ლევერკუზენი | 25 | 7 | 6 | 12 | 32:41 | 27 |
| გლადბახი | 25 | 7 | 5 | 13 | 26:36 | 26 |
| ნიურნბერგი | 25 | 7 | 4 | 14 | 28:45 | 25 |
| კოტბუსი | 25 | 6 | 5 | 14 | 25:47 | 23 |

# ესპანეთი

გიორგი ღარხანია

# სტადიონი ჩვენი, ენერგია თქვენი

## ყველას რეალის წაგება უნდა

| XXVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რაიო ვალეკანო | — | ატლეტიკო |
| **ხვალ** | | |
| სელტა | — | ბილბაო |
| ვალენსია | — | ესპანიოლი |
| მალაგა | — | ბეტისი |
| უელვა | — | ოსასუნა |
| მალიორკა | — | ვალიადოლიდი |
| სევილია | — | ალავესი |
| ბარსელონა | — | რასინგი |
| სოსიედადი | — | ვილიარეალი |
| რეალი | — | დეპორტივო |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 26 | 15 | 9 | 2 | 59:26 | 54 |
| სოსიედადი | 26 | 15 | 8 | 3 | 45:32 | 53 |
| დეპორტივო | 26 | 15 | 6 | 5 | 43:27 | 51 |
| ვალენსია | 26 | 13 | 7 | 6 | 41:20 | 46 |
| სელტა | 26 | 12 | 5 | 9 | 31:23 | 41 |
| ატლეტიკო | 26 | 10 | 8 | 8 | 38:33 | 38 |
| ბეტისი | 26 | 10 | 7 | 9 | 36:37 | 37 |
| სევილია | 26 | 9 | 9 | 8 | 21:18 | 36 |
| ბარსელონა | 26 | 8 | 9 | 9 | 38:33 | 33 |
| ბილბაო | 26 | 9 | 6 | 11 | 38:44 | 33 |
| ვალიადოლიდი | 26 | 9 | 5 | 12 | 26:29 | 32 |
| მალიორკა | 26 | 9 | 5 | 12 | 28:41 | 32 |
| მალაგა | 26 | 7 | 10 | 9 | 34:33 | 31 |
| ვილიარეალი | 26 | 8 | 7 | 11 | 24:30 | 31 |
| რასინგი | 26 | 9 | 2 | 15 | 32:37 | 29 |
| ესპანიოლი | 26 | 8 | 5 | 13 | 28:35 | 29 |
| ოსასუნა | 26 | 7 | 8 | 11 | 26:33 | 29 |
| ალავესი | 26 | 7 | 8 | 11 | 29:47 | 29 |
| რაიო | 26 | 7 | 4 | 15 | 24:40 | 25 |
| უელვა | 26 | 5 | 8 | 13 | 25:48 | 23 |

**აი, თამაში:** მადრიდის „რეალი“ ლა კორუნიის „დეპორტივოს“ მასპინძლობს. და რა მოხდება, სტუმრებმა თუ მოიგეს? იმის მინიშნება გვსურს, რომ „რეალმა“ ბოლო ოთხი თამაში მოიგო და ამგვარად ჩაიგდო ხელში ლიდერობა. მაგრამ ვის მოუგო? „ვილიარეალს“, „რასინგს“, „ალავესს“ და „ვალიადოლიდს“, ანუ იმ გუნდებს, რომლებსაც პრიმერადივიზიონში დარჩენის გარდა არაფერი ადარდებთ, ხოლო „დეპორტივოს“ რისი სურვილიც ჰკლავს, ცხრილში ჩახედვით იოლად გამოიცნობთ. და როგორ დასრულდა ამათი ბოლო პაექრობა „სანტიაგო ბერნაბეუზე“? „დეპორტივომ“ სამეფო თასის ფინალში, მასპინძლის საუკუნოვანი იუბილეს დღეს, „რეალს“ ზეიმი წაუხდინა. აქვე უნდა ვახსენოთ, რომ ვისენტე დელ ბოსკეს, უნდა თუ არა, „დეპორტივოს“ გარდა „მანჩესტერ იუნაიტედზეც“ უწევს ფიქრი, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ხვდება.

მადრიდელმა ფორვარდმა ხოსე მარია გუტიერესმა, ანუ უბრალოდ გუტიმ კი შანსები ასე შეაფასა: „ამ კვირაში მოსკოვში გვქონდა ურთულესი მატჩი, რამაც ძალიან დაგვქანცა, ლაკორუნიელებმა კი „მანჩესტერთან“ შეხვედრაში რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენეს, რის გამოც ჩვენზე მხნედ იქნებიან. მაგრამ მეორე მხრივ, თამაში მადრიდშია, რაც უკვე ჩვენ გვანიჭებს უპირატესობას.“ ერთი სიტყვით, გუტის ნალაპარაკევიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ შანსები დაახლოებით თანაბარია.

ისე, „რეალისა“ და „დეპორტივოს“ გარდა დივიზიონში კიდევ 18 გუნდია და ამათგან გამორჩეული ყურადღება „სოსიედადს“ უნდა მივაპყროთ. ჩვენში დარჩეს და, „დეპორტივოს“ გამარჯვება, თავად ლაკორუნიელთა გარდა, სანსებასტიანელებსაც აწყობთ, რაკი ლიდერობის დაბრუნების შანსი მიეცემათ. ცხადია, საამისოდ „სოსიედადმა“ „ვილიარეალი“ უნდა დაამარცხოს. ზედიზედ მესამე გამარჯვებისთვის ბასკებს შემადგენლობაც ხელს უწყობთ, რადგან ბიორნ ტორე კვარმემ, ხავი დე პედრომ, აიტორ ლოპეს რეკარტემ და დარკო კოვაჩევიჩმა უმნიშვნელო ტრავმები მოიშუშეს და ახლა კბილებს ილესენ.

ერთხანს ყოჩაღად მდევარი „ვალენსია“ ბოლო ტურებში ლიდერს გვარიანად ჩამორჩა. თუკი ამ ტურში „რეალი“ დამარცხდება და „სოსიედადი“ ვერ მოიგებს, მოქმედ ჩემპიონს პირველადგილოსანთან ჩამორჩენის ხუთ ქულამდე შემცირება შეეძლება, რაც ჩემპიონატის დასრულებამდე 11 ტურით ადრე საჩემპიონო ბრძოლაში დააბრუნებს. „ვალენსია“ „ესპანიოლს“ მასპინძლობს და მის კარს ალბათ ისევ სანტიაგო კანისარესი დაიცავს. შეგახსენებთ, რომ „არსენალთან“ შეხვედრაში კანისარესმა თავი იტკინა და შესაცვლელი შეიქნა.

ახლა ცოტა ქვევით დავეშვათ. „რასინგი“ ბობოლა გუნდებს ვერ გასცდა. წინა სამ ტურში სანტანდერელები „დეპორტივოს“, „რეალს“ და „სოსიედადს“ შეხვდნენ, ახლა კი ბარსელონაში ჩადიან და, ალბათ, ზედიზედ მეოთხე მარცხს გაიფორმებენ. „ბარსელონამ“ კი წინა სამ ტურში ფრეების სერია გამოაცხო და ლიგას ვინ ჩივის, საუეფასთასო ზონას ხუთი ქულით ჩამორჩება. მასპინძელთაგან ორმატჩიანი დისკვალიფიკაციის მოხდას შეუდგება ტიაგო მოტა, სამაგიეროდ ბრუნდება კარლეს პუიოლი, რომელსაც წინა თვეში, „ინტერთან“ შეხვედრისას ყბა გაუტეხეს.

აბა, ეს რა დერბია, ამ სახელით მადრიდში „რეალისა“ და „ატლეტიკოს“ შეხვედრებს მოიხსენიებენ, დღეს უბრალოდ ორი მადრიდული გუნდი ხვდება ერთმანეთს. მიზნები განსხვავებული აქვთ: ბოლო ხუთი თამაშიდან ოთხის წამგები „რაიო ვალეკანო“ ფსკერიდან ამოსვლას ლამობს, „სელტასთან“ მოულოდნელად დამარცხებული „ატლეტიკო“ კი საუეფასთასო ადგილზე დარჩენას. მასპინძლებს ეგებ ტრავმამოშუშებული რუსი ვიქტორ ონოპკოც დაუბრუნდეთ.

„სელტა“ „ვალენსიას“ მძლეველ „ბილბაოს“ დაუხვდება და შესაძლოა, ორი ფეხბურთელი, ვაგნერი და ხესული დააკლდეს. ორივეს მცირე ტრავმები აწუხებთ, თუმცა ეგებ დროულად მოშჯობინდნენ.



„სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალის“ და „დეპორტივოს“ ბოლო შეხვედრას უზეიმოდ არ ჩაუვლია

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

**გერმანია. ბუნდესლიგა. XXVI ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 18.30 | 001 | შალკე-მიუნხენი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.30 | 002 | მიონხენგლადბახი-ჰამბურგი | 2.45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 18.30 | 003 | ვერდერი-ჰანოვერი | 1,7 | 3.5 | 4,4 | 1.14 | 1.22 | 1,94 |
| 18.30 | 004 | ბაიერნი-ჰანზა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1.01 | 1,13 | 3,04 |
| | 005 | ბაიერნი-ჰანზა 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.30 | 006 | ვოლფსბურგი-ბოხუმი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.30 | 007 | ლაუტერნი-ლევერკუზენი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.30 | 008 | არმინია-დორტმუნდი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 20.30 | 009 | ჰერტა-კოტბუსი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 010 | ჰერტა-კოტბუსი | 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | |
| 20.30 | 011 | შტუტგარტი-ნიურნბერგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 012 | შტუტგარტი-ნიურნბერგი | 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. XXVI ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 18.00 | 016 | ბურგჰაუზენი-უნიონი | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 18.00 | 017 | კარლსრუე-ბრაუნშვაიგი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.00 | 018 | დუისბურგი-ლიუბეკი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.00 | 019 | ფრაიბურგი-ობერჰაუზენი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 020 | ფრაიბურგი-ობერჰაუზენი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.00 | 021 | ფიურტი-ვალდჰოფი | 1.6 | 3.5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| | | 24 მარტი | | | | | | |
| 23.15 | 022 | კიოლნი-მაინცი | 1,7 | 3.3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXIV ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 17.00 | 028 | დორტმუნდი(მ)-ეინბეკი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1.66 |
| 17.00 | 029 | დრეზდენი-ქემნიცი | 2.45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 17.00 | 030 | აუე-ბაბელსბერგი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 17.00 | 031 | ჰამბურგი(მ)-ვუპერტალი | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 17.00 | 032 | ოსნაბრიუკი-პადერბორნი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 17.00 | 033 | ვერლე-ესენი | 3,1 | 3.2 | 2,2 | 1,57 | 1.28 | 1,3 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXVI ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 17.30 | 037 | შვაინფურტი-ზიგენი | 2.35 | 3,2 | 2.8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 17.30 | 038 | ვეჰენი-უნტერჰახინგი | 2,9 | 3,2 | 2.3 | 1.52 | 1,28 | 1,33 |
| 17.30 | 039 | ნოიკირხენი-აინტრახტი(მ) | 2.7 | 3,2 | 2,4 | 1.46 | 1,27 | 1,37 |
| 17.30 | 040 | ფულენდორფი-ზაარბრიუკენი | 2.4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 17.30 | 041 | აალენი-ელვერსბერგი | 1.65 | 3.2 | 5.6 | 1,08 | 1.27 | 2,03 |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 18.00 | 042 | ლაუტერნი(მ)-რეგენსბურგი | 2,7 | 3.1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |

**ინგლისი. პრემიერლიგა. XXXI ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 16.00 | 043 | ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.75 | 3,3 | 4.4 | 1,14 | 1,25 | 1.88 |
| 16.30 | 044 | მანჩესტერი-ფულემი | 1,25 | 5.0 | 10.0 | 1 | 1.11 | 3,33 |
| | 045 | მანჩესტერი-ფულემი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3.3 | | | |
| 19.00 | 046 | ჩელსი-სიტი | 1.6 | 3.5 | 5,3 | 1.09 | 1.22 | 2.1 |
| 19.00 | 047 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1.23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 048 | ნიუკასლი-ბლეკბერნი | 1.55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 19.00 | 049 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 19.00 | 050 | ვესტ ჰემი-სანდერლენდი | 1.55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 18.00 | 051 | ლივერპული-ლიდსი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 20,05 | 052 | არსენალი-ევერტონი | 1.35 | 4.2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2.75 |
| | 053 | არსენალი-ევერტონი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | 24 მარტი | | | | | | |
| 24.00 | 054 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1.36 | 1,28 | 1,44 |

**ინგლისი. I დივიზიონი. XXXIX ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 19.00 | 068 | ბრედფორდი-რედინგი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 19.00 | 069 | ბერნლი-გრიმსბი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1.95 |
| 19.00 | 070 | ქოვენტრი-ლესტერი | 3,1 | 3.2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 19.00 | 071 | კრისტალ პალასი-უოლსოლი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 19.00 | 072 | იფსვიჩი-ბრაიტონი | 1.5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.00 | 073 | მილუოლი-[illegible] | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1.14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 074 | ნოტინჰემი-ნორვიჩი | 1.75 | 3.3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 075 | პრესტონი-პორტსმუთი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 19.00 | 076 | როტერჰემი-უიმბლდონი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 19.00 | 077 | შეფილდი-დერბი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2.19 |
| 19.00 | 078 | უოტფორდი-სტოკი | 1.8 | 3,3 | 4,0 | 1.16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 079 | ვულვერჰემპტონი-ჯილინგემი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |

**ინგლისი. II დივიზიონი. XXXIX ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 19.00 | 097 | ბარნსლი-ჩელტენჰემი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1.21 | 1,28 | 1,66 |
| 19.00 | 098 | ჩესტერფილდი-უიკომბი | 2.15 | 3,2 | 3,2 | 1.28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 099 | ჰადერსფილდი-ბრისტოლი | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| 19.00 | 100 | ლუტონი-ქრიუ | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 101 | ნორთჰემპტონი-ოლდემი | 3,1 | 3.2 | 2.2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 19.00 | 102 | პიტერბორო-ტრანმერი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 19.00 | 103 | პლიმუთი-ბრენტფორდი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 104 | პორტ ვეილი-ჩელტენემი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 105 | ქუინზ პარკი-უიგანი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 106 | სტოკპორტი-ბლეკპული | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 107 | სუინდონი-ნოტსი | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |

**ინგლისი. III დივიზიონი. XXXIX ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 19.00 | 121 | ბოსტონი-რაშდენი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 19.00 | 122 | ბორნმუთი-ტორკი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 123 | როვერსი-ჰარტლპული | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| 19.00 | 124 | ბერი-ლინკოლნი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 125 | კარლაილი-კემბრიჯი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.00 | 126 | ექსეტერი-როჩდეილი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.00 | 127 | ჰალი-შრუსბერი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 19.00 | 128 | კიდერმინსტერი-სუონსი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 129 | ოქსფორდი-მაკლსფილდი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 19.00 | 130 | სკანთორპი-დარლინგტონი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 131 | საუთენდი-ლეიტონი | 1,95 | 3,3 | 3,6 | 1,22 | 1,26 | 1,72 |
| 19.00 | 132 | რექსემი-იორკი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |

**ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 მარტი | | | | | | |
| 23.45 | 133 | რაშდენი-როჩდეილი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |

**იტალია. სერია "A". XXVI ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 21.00 | 136 | მოდენა-რეჯინა | 1,95 | 2,9 | 4,2 | 1,16 | 1,33 | 1,71 |
| 23.30 | 137 | მილანი-იუვენტუსი | 2,25 | 2,9 | 3,3 | 1,26 | 1,33 | 1,54 |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 18.00 | 138 | ატალანტა-კიევო | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 18.00 | 139 | კომო-ბოლონია | 3,0 | 3,0 | 2,35 | 1,5 | 1,31 | 1,31 |
| 18.00 | 140 | ემპოლი-ბრეშა | 2,25 | 2,8 | 3,4 | 1,24 | 1,35 | 1,53 |
სხვა ქართველები ამ ტურში უქმად იყვნენ. ზაზა ფაჩულიამ მთელი თამაში სათადარიგო სკამზე გაატარა ათენში, სადაც მისმა „ულქერმა" დაძაბულ ბრძოლაში წააგო „პანათინაიკოსთან" და ოთხთა ფინალში გასასვლელი ბილიკი გაიმრუდა. მანუჩარ მარკოიშვილის „ბენეტონი" კი ცალი ფეხით ბარსელონაშია. ტრევიზოელებს სამიდან სამი მოგება დაჰგროვებიათ და არც მეტოქენი ჩანან მათი ჯგუფიდან გასვლაში შემცილენი.



ვლადიმერ ბოისა და მისიანები ფავორიტებს ჭერჭერობით გოჯს არ უთმობენ

### D ჯგუფი

**ციბონა 88:81 უნიკახა**

**ციბონა:** რიმაჩი (20), პრკაჩინი (18 ქულა, 12 მოხსნა)
**უნიკახა:** ბალოკი (20), რიზაშე (14)

**ეფესი 71:69 ცსკა**

**ეფესი:** ბრაუნი (23), გრანგერი (22)
**ცსკა:** ალექსანდერი (22)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეფესი | 3 | 3 | 0 | +9 | 6 |
| ცსკა | 3 | 2 | 1 | +27 | 5 |
| ციბონა | 3 | 1 | 2 | -9 | 4 |
| უნიკახა | 3 | 0 | 3 | -27 | 3 |

### E ჯგუფი

**სკიპერი 70:85 სიენა**

**სკიპერი:** კოვაჩიჩი (13), ბაზილე (13)
**სიენა:** კაკიუზისი (20), თურქჯანი (19)

**პანათინაიკოსი 78:74 ულქერი**

**პანათინაიკოსი:** ალვერტისი (17), ფოცისი (15)
**ულქერი:** ბლერი (20), ბუკერი (17)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 3 | 3 | 0 | +26 | 6 |
| პანათინაიკოსი | 3 | 2 | 1 | +12 | 5 |
| სკიპერი | 3 | 1 | 2 | -23 | 4 |
| ულქერი | 3 | 0 | 3 | -15 | 3 |

### F ჯგუფი

**ტაუ 93:73 კინდერი**

**ტაუ:** სკოლა (20), ვოლკოვისკი (12)
**კინდერი:** კოტუროვიჩი (23), ბრკიჩი (15)

**ბენეტონი 93:80 მაკაბი**

**ბენეტონი:** იდნი (24), გარბახოსა (17)
**მაკაბი:** ვუიჩიჩი (28), უდრიჰი (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 3 | 3 | 0 | +38 | 6 |
| მაკაბი | 3 | 2 | 1 | +20 | 5 |
| ტაუ | 3 | 1 | 2 | -16 | 4 |
| კინდერი | 3 | 0 | 3 | -42 | 3 |

### D ჯგუფი

**ბარსელონა 80:77 ოლიმპიაკოსი**

**ბარსელონა:** ბოდიროგა (20), იასიკევიჩუსი (18)
**ოლიმპიაკოსი:** ევანსი (21), ტომიჩი (18)

**ვილერბანი 77:78 ოლიმპია**

**ვილერბანი:** პეტროვი (22)
**ოლიმპია:** ბაზდარიჩი (19), ბოისა (21 წუთი, 3 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 3 | 2 | 1 | +9 | 5 |
| ბარსელონა | 3 | 2 | 1 | +8 | 5 |
| ოლიმპია | 3 | 2 | 1 | +2 | 5 |
| ვილერბანი | 3 | 0 | 3 | -19 | 3 |

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დევიდით შაკი ზოგჯერ ამხელა კაცია

20 მარტი

**დალასი 110:112 სან ანტონიო**

ძირითადი დრო 102:102

**დალასი:** ვან ექსელი (35), ნოვიცკი (34)
**სან ანტონიო:** დანკანი (25), პარკერი (22)

**საკრამენტო 107:99 ლეიკერსი**

**საკრამენტო:** ვებერი (26)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (34), ონილი (28)

**დეტროიტი 113:85 ფილადელფია**

**დეტროიტი:** ბილაფსი (29), ოქური (18)
**ფილადელფია:** კოულმენი (19)

გუშინწინ ნბა-ში მხოლოდ სამი მატჩი გაიმართა და სამივე ერთობ საინტერესო. მისი მონაწილე ექვსივე გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძვის, თუმცა გამოსარჩევნი მაინც დასავლელი ბობოლები არიან — გამოცვიძებული ჩემპიონი „ლეიკერსი" საკრამენტოში ჩავიდა, ლიგის ლიდერმა „დალასმა" კი აბობოქრებული „სან ანტონიო" ისტუმრა.

ტეხასური დერბი მართლაც ომი გამოდგა. უშელავათო ბრძოლა ოვერტაიმში გაგრძელდა და იქ სანანტონიოელთა გამარჯვებით დასრულდა. მატჩის მონაწილენი მთელი შემართებით თამაშობდნენ და მეხსიერებაში ბევრი ლამაზი ეპიზოდიც ჩაუჭედეს დალასის „აირლაინს სენტერში" მისულ 20 ათასზე მეტ ადამიანს. მაგრამ ამ მატჩში რაც ყველაზე მეტად დაამახსოვრდა ქომაგს, არც დირკ ნოვიცკის ლიდებულად ჩაგდებული ბურთი იყო და არც ტიმ დანკანის ავისმომასწავებლად ჩატენილი. ციცქნა ტონი პარკერმა, რომელიც მეორე სეზონია, ფრანგული „პო ორტეზიდან" „სან ანტონიოში" აღზევდა, დამატებითი ხუთწუთეულის ბოლო წამზე ისეთი ბურთი ჩაუგდო დალასელებს, რომ მაიკლ ჯორდანიც (არც სხვა ვინმე) არ იტყოდა მასზე უარს.

საყაიმო ანგარიშზე ფრანგმა გამთამაშებელმა ბურთი მოიხელთა და მთელი მოედანი გადასერა. ფარქვეშ მესულ პარკერს ლიგის უწონადესი შონ ბრედლი და აგრეთვე ახმახი ნოვიცკი აელობნენ, თუმცა 188-სანტიმეტრიანმა ფრანგმა მაინც მოახერხა გამარჯვების ბურთის ჩაგდება.

„სან ანტონიოს" ახლა ორი მოგება აშორებს „დალასამდე" და თუ მის ბოლოდროინდელ აღმასვლას გავითვალისწინებთ, „მავერიკსის" ყოჩობის დღეები დათვლილია.

საკრამენტოული მატჩი კი ისეთი დაძაბული ვერ გამოდგა, როგორც დალასური, მაგრამ არც მას აკლდა ინტრიგა. „ლეიკერსი" მეპლეიოფეთა შორის მყარად დაფუძნებას ეშურება, „საკრამენტოს" კი, ვისაც წყნარი ოკეანის დივიზიონში „პორტლენდი" წამოპარვია, ლიდერობის დათმობა არ უნდა.

ამ გუნდებისა იყო შარშანდელი პლეიოფის დასავლური ფინალი და იქ კვლავ თამაშის სურვილი წლეულსაც საკმარისად აქვს ორივეს. გუშინწინდელ დაპირისპირებაში კი „საკრამენტომ" იმარჯვა, თუმცა ბოლო მეოთხედის წინ აგებდა. გადამწყვეტი სიტყვა თქვა „მეფეთა" ლიდერმა კრის ვებერმა, რომელმაც არც კობი ბრაიანტის მონდომება ჩაუგდო ჩირად და არც შაკილ ო'ნილის [illegible] მთამაშის ამ მატჩში გადალახა 20000-ქულიან ნიშნულს და ნბა-ს ისტორიაში 28-ე კალათბურთელი შეიქნა, ვინც ეს შეძლო. ამის მიუხედავად, ო'ნილი წაგებით იყო დამწუხრებული და ბოლოს კულუარში საკრამენტოელებზე [illegible] ბიბიზე ამოიოხრა, რომელიც ახლა ხან შეიყვანეს ამერიკის სადღესასწაულო ნაკრებში.

„ბიბის ნაკრებში რა უნდა, ის არ არის ცუდი გამთამაშებელი, მაგრამ ახლოსაც ვერ მივა ალენ აივერსონთან. მაიკ არ იმსახურებს სანაკრებო მაისურის ტარებას" — უთქვამს შაქს.

ნბა-ს საუკეთესო ცენტრის ამ სიტყვებში არაფერია ახალი. აივერსონი ვერ ყველაზე ძლიერი გამთამაშებელიც იყოს, მაგრამ იმ თამაშით, რომელიც მან გუშინწინ „დეტროიტთან" აჩვენა, ბიბის კი არა, ერთ-ერთ [illegible] ბებს მთელ ლიგაში. აივერსონი იმ დღეს ნაღდად მარცხენა ფეხზე იყო ამდგარი, მან „დეტროიტს" სულ ცოტა, 5 ქულა ჩაუგდო და შეაწყვეტა 186-მატჩიანი (!) სერია, რომლის განმავლობაში არასდროს გაუკეთებია 10 ქულაზე ნაკლები. „მთელი კარიერის მანძილზე ეს იყო ალბათ ჩემი ერთ-ერთი ყველაზე უსუსური თამაში. თუკი ამ მატჩში რაიმე დადებითის დანახვა შეიძლება, მხოლოდ ისის, რომ სამაგალითოდ გავიხალე და აღარასოდეს ვითამაშო ასე" — დარწმუნებული იყო აივერსონი, ვისი „ფილადელფიაც" რა გასაკვირია, და დეტროიტში დამარცხდა.

**ირაკლი კერტაია**




ტონი პარკერი „სპურსის" მწვრთნელმა გრეგ პოპოვიჩმა აქო

---

ჰოკეი

რეგულარული ჩემპიონატი

# ბუუუ...

## კანადამ ამერიკას უსტვინა

20 მარტი

**მონრეალი 3:6 აილენდერსი**

*0:1 1:4 2:1*

**0:1 ეშამი (8), 0:2 ბლეიკი (21), 0:3 კვაშა (21), 0:4 იაშინი (27), 1:4 ოდეტი (29), 1:5 იაშინი (34), 2:5 დაკელი (51), 3:5 ჟორდი (54), 3:6 სკაჩარდი (60)**

კანადა აშშ არ არის და იქ ერაყთან ომზე სხვაგვარი რეაქცია აქვთ. როცა მონრეალში ადგილობრივი გუნდისა და „აილენდერსის" მატჩის წინ აშშ-ს ეროვნული დროშა აღმართეს, დარბაზში სტვენა და უკმაყოფილო შეძახილი „ბუუუ..." გაისმა. ასე გამოხატა კანადელ მაყურებელთა დიდმა ნაწილმა ომისადმი თავისი დამოკიდებულება. ამან სტუმრები ერთობ გააოცა. „ვიცოდი, რომ კანადაში ბევრია ომის მოწინააღმდეგე, მაგრამ რაც ვნახე, ამას ნამდვილად არ ველოდი" — თქვა მატჩის შემდეგ აილენდერსელმა მარკ პერიშმა. თვით თამაში კი საკმაოდ „მშვიდობიანი" გამოდგა მიუხედავად იმისა, რომ ეს მონრეალისთვის ბოლო შანსი იყო. კონფერენციის მე-8 გუნდის დამარცხებით მონრეალი საპლეიოფო იმედებს შეინარჩუნებდა, მაგრამ... ნიუიორკელთა ლიდერმა ალექსეი იაშინმა მეტოქის ინერტულობა კარგად გამოიყენა და 5 (3+2) ქულით თავისი პერსონალური რეკორდი გაიმეორა, რითაც ხანგრძლივ უხეირობას მოუღო ბოლო. არადა, რუმა უნიათობის გამო მეოთხე სამეულში გადაინაცვლა.

ისე, ერთხელ არეულობა მაინც მოხდა. სტუმართა ფორვარდები, ცხადია, უნებლიედ, ორჯერ დაეცნენ თავზე მონრეალის მეკარეს, ჟოზე თეოდორს. ამან გააცხარა „წმინდა ჟოზე" და სცადა, გასწორებოდა მეტოქეებს, რამაც დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ჟოზეს აილენდერსელი კოლეგა გარტ სნოუ კი საკუთარ კართან დარჩა და არ ჩაერია ჩხუბში. დაკვირვებული თვალი აუცილებლად შეამჩნევდა ნიღბის შიგნით მის ირონიულ ღიმილს.

**კოლორადო 2:0 სან ხოსე**

*1:0 0:0 1:0*

**კოლუმბუსი 4:3 ტორონტო**

*0:1 3:1 0:1 1:0*

**ფილადელფია 4:2 პიტსბურგი**

*1:2 1:0 2:0*

**სენტ ლუისი 3:2 ანაჰაიმი**

*2:0 0:2 0:0 1:0*

**კალგარი 1:4 ვაშინგტონი**

*0:1 1:3 0:0*

**ფინიქსი 3:2 ედმონტონი**

*2:1 0:0 0:1 1:0*

**ვანკუვერი 7:3 ნეშვილი**

*4:0 3:1 0:2*

**ლოს ანჯელესი 2:2 ტამპა**

*1:0 0:1 1:1 0:0*




ჟოზე თეოდორი: ზოგჯერ მეკარეც დასაზმელია

REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სადღაა ძველი ვნებები, კაცები, პიროვნებები...

## ჯეისონ ლეონარდმა იცის, რა უნდა დაცალოს კაცმა ჭიქაზე ადრე



*ინგლისელი ჟურნალისტები მასზე არასდროს ილაპარაკებენ და ინადირებენ ისე, როგორც მიკ ჯაგერზე ანაც დევიდ ბექემზე, რადგან ჯეისონ ლეონარდი პირველ რიგში მუშაა და არა ვარსკვლავი, მაგრამ ინგლისური რაგბის ძველი სკოლის უკანასკნელი მოჰიკანი ახლაუ პოპულარულია ლა მანშის გაღმა.*

*ინგლისის ნაკრების, ბრიტანელი „ლომებისა" და „ჰარლექუინზის" 34 წლის მორკინალი დღეს შოტლანდიის წინააღმდეგ „თვიქნემის" მინაზე გავა და „ვარდების" შერკინების მოწინავე ხაზში 101-ედ დაიკავებს მარჯვენა ბურჯის ადგილს. უნიკალური მიღწევაა ინგლისელისთვის. მის გარდა მსოფლიოში მხოლოდ ორი მორაგბე იამაყებს ეროვნული გუნდის 100 და მეტი კეპით — ფრანგი ფილიპ სელა და ავსტრალიელი დევიდ ქემფიზი. თუმც ესენი უკანახაზელები იყვნენ, ლეონარდი კი მორკინალია, თან ბურჯი, ამ ამპლუის მორაგბეები კი ყველაზე ხშირად იღებენ ტრავმებს. თავად ლეონარდიც ამბობს, ბოლო წლებში რაგბი ისე განვითარდა, მთელი თამაში უკანახაზელების ხელში გადავიდა, მაგრამ შერკინება ძველებურად რჩება ბუტერბროდად, სადაც კაცმა შეიძლება ადამიანის ფორმაც დაკარგოსო.*

*ჯეისონ ლეონარდი კი თუმც 13 წელია, ინგლისის ნაკრებში თამაშობს და 100 ტესტიც მოულევია, არასდროს კარგავს ფორმას და სახეს. ამპლუით მუშა მორაგბეა, მაგრამ თავის საქმეს ყოველთვის ეშხით და პენით აკეთებს, თამაშის შემდეგ კი მუდამ ლუდზე ეპატიჟება შერკინებაში თავის მოპირდაპირეს, მიუხედავად იმისა, რომ მატჩის 80 წუთში მათ შეიძლება ერთმანეთი საშინლად დაასისხლიანონ. დღეს, ექვსი ერის მატჩში მისი ოპონენტი შოტლანდიელი ტომ სმიტი იქნება, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მარცხენა ბურჯი. პროფესიით დურგალი და წარმოშობით ესექსელი, ჯერ კიდევ ვილი ქარლინგის ეპოქაში მოთამაშე და სამ მსოფლიოს თასზე ნაბურთავები გულლია ლეონარდი ადამიანს პირველ რიგში კაცობით აფასებს. ყველაზე მეტ პატივს სცემს ახალზელანდიელ ოლო ბრაუნს და ფრანგ პასკალ ონდერტსს, აგრეთვე ინგლისის ნაკრებში თავის დუბლიორ ჯეფ პრობინს, ხოლო უბინძურეს მოწინააღმდეგედ ახალზელანდიელ რიჩარდ ლოს ასახელებს.*

*პოპულარული ინგლისური გაზეთის „სანის" ჟურნალისტმა სტივ ჰოვარდმა რამდენიმე საათი გაატარა ლუდხანაში ლეონარდთან და ინგლისის ნაკრებში თუ „ჰარლექუინზში" მის თანამებრძოლ მიკ სკინერთან. ჟურნალისტმა პირდაპირ გადმოხატა მათთანსაუბარი გაზეთში და ჩვენც შევეცადეთ, გაზეთ „სანის" სტილი დაგვეცვა*

**სკინერი** — ჰა, სქელო, რა გახსოვს პირველი სანაკრებო თამაშიდან?

**ლეონარდი** — ეს იყო არგენტინაში 1990 წელს. როგორ არ მახსოვს. არგენტინელებმა ფორთოხლები დაგვაყარეს, რადგან ჩვენ ვიყავით პირველი ინგლისური გუნდი, რომელიც იქ ჩავიდა ფოლკლენდის ომის შემდეგ. თან ტუკუმანში ვთამაშობდით, სადაც არგენტინელებმა იმ ომში ყველაზე მეტი მებრძოლი დაკარგეს. ფორთოხლების მერე წამოვიდა ბოთლები, მაკრატლები... ყველაფერს გვესროდნენ, რაც ხელში მოხვდებოდათ. ნაღდი ომი იყო. ვეიდ დული მაგრად იბრძოდა, მოედანზე შემხვედრ ყველა არგენტინელს მიწაზე ანარცხებდა.

ეს თამაში აგრეთვე პირველი სანაკრებო იყო ტიმ როდბერისთვის. ტიმი ნაჯარისკაცალი იყო და თავისი იდეები ჰქონდა, როგორ ებრძოლა არგენტინელ მოთამაშეებთან. მაგრად წიხლაობდა... ჩვენც გვხვდებოდა. ერთმა იმათიანმა ვეიდს მაგრად ხეთქა და უთხრა აი, ეგრე უნდა მუშტების ქნევაო.

**სკინერი** — მე მაშინ მწვრთნელმა მთხოვა, ტიმ როდბერისთვის მიმეხედა. რამე შარს არ გადაყროდა არადა, მეც მისახედი ვიყავი. საერთოდ, ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი, რადგან რამდენიმე თვის წინ ნომერში გოგოები ავიყვანე და ამისთვის ლამის გამაგდეს ნაკრებიდან.

**ლეონარდი** — კორდობაში რომ ვითამაშეთ, ჯონ ოლვერი გვკაპიტნობდა. მას ბობი ჩარლტონი შეარქვეს, რადგან მაგრად ხმარობდა ფეხს. ერთ ეპიზოდში ისე ჩაარტყა თავში მოწინააღმდეგეს, რომ ჩვენც კი მოვთხოვეთ მსაჯს მისი გაგდება.

**სკინერი** — ეს იმ დღეს ხომ არ მოხდა, როცა ოლვერი საღამოს დათვრა და გუბეში ჩავარდა?

**ლეონარდი** — არა, ეს იყო პირველი თამაშის შემდეგ, როცა ვეიდმა ბარში ვილაცას თავზე ბანჯო გადაალეწა.



ძველი დოსტები მიკ სკინერი და ჯეისონ ლეონარდი სიამოვნებით იხსენებენ ძველ, ტკბილ და კაცურ დროებს

**სკინერი** — ჰო, იმ საღამოს ისე ვიყავით გადარეულები, არავის არაფერს დავუთმობდით.

**ლეონარდი** — მაშინ ძალიან ავურიეთ. ჯონ ბაქტონი გაილეშა და ავტობუსიდან ჩამოვარდა. მერე ბარის შესასვლელში ისე გაიშხლართა, რომ მასზე გადაბიჯება დამჭირდა. მწვრთნელებმა მეორე დღესვე დაითხოვეს გუნდიდან.

**სკინერი** — სადღა ხდება ახლა ესეთი რამეები. მაშინ სხვა იყო, „სარასენზიდან" ჩვენთან, „ჰარლექუინზში" რომ გადმოხვედი, განა ვინმე იტყოდა, ეს ფულის გამო გააკეთაო.

**ლეონარდი** — ორი წელი ვიყავი „სარასი"...

**სკინერი** — და ეგ ორი წელი სულ მიწაზე ეგდე. რამდენჯერ გადამირბენია შენზე.

**ლეონარდი** — როგორ არ მახსოვს, შე ოხერო, ერთხელ ისეთი ჩამცხე, თავი გამისკდა. მაშინვე ნაკერები დამადეს და მოედანზე შემომაბრუნეს. შერკინებაში გვერდით მდგომ ენდი მულინსაც ბლომად სისხლი მოვცხე. მულინი კარგი ბიჭია, ერთადერთი ბურჯი იყო, რომელსაც სარკეში ჩახედვისა არ რცხვენოდა.

**ჰოვარდი** — არგენტინელებს „თვიქნემზეც" ეთამაშეთ. მაშინ ფედერიკო მენდესმა თქვენს პოლ აკფორლს მაგარი ხია...

**ლეონარდი** — კი, დასიებული ტუჩით იჯდა ბანკეტზე. მთვრალები ხელსახოცებს ვესროდით და დავცინოდით, ჩვენმა პატარა პოლმა ისევ ჩაისვარაო.

**ჰოვარდი** — შენი ერთადერთი ლელოც არგენტინას დაუდე, მაშინ პირველად უკაპიტნე ინგლისს...

**ლეონარდი** — მომაბეზრე თავი ამ არგენტინაზე ლაპარაკით. მოდი, ჩემზე ვისაუბროთ.

**ჰოვარდი** — როგორ მიიღე მეტსახელი „ოქროსყვერება"?

**ლეონარდი** — ჰოო... ტექნიკური დირექტორი დონ რეზერფორდი ერთხელ წაგებულ თამაშს არჩევდა და ბიჭებს უებნებოდა, ვერც ერთმა ვერ ივარგეთ, მარტო ჯეისმა დაცალა ბოლომდე თავისი ყვერებიო. ბიჭებსაც მეტი რა უნდოდათ, სტვენა დამიწყეს, ვინ არის ეს ლაწირაკი, ასე ცაში რომ აიყვანეთო. ვეიდიც მომიბრუნდა და მითხრა, რა იყო, ბიჭო, ოქროს ყვერები გაქვს, თუ არ ამბავიაო. აი, ასე იყო...

**სკინერი** — „ჰარლექუინზში" რომ გადმოხვედი, ვილ ქარლინგმა ხომ არ გაგაფრთხილა, სკინერთან არ იმაკაცოო?

**ლეონარდი** — არა, მწვრთნელმა დიკ ბესტმა მითხრა, თუ გინდა, რომ ყველაფერი კარგად წაგივიდეს, ორ რამეს უნდა შეეშვა, შაბათს ღამით ლოთობა-ბოზობას და მიკ სკინერსო.

**სკინერი** — მიდი, რა... რატომ იმას არ ამბობ, რომ ყველა განებივრებდა?

**ლეონარდი** — კი, ბიჭები მათამამებდნენ. გუნდის ავტობუსში ბოლო სკამზეც კი დამსვეს. ეს უდიდესი პატივი იყო. მახსოვს, დევი მუდის ისე ეწყინა ჩემი „დაწინაურება", რომ პროტესტის ნიშნად წინ, მძღოლის გვერდით გადაჯდა.

არა მგონია, ვინმე გარეშემ ბოლომდე შეიგრძნოს ის სიტუაცია, ჩვენს ავტობუსში რომ სუფევდა. ვინმე ისეთს გეტყოდა, რამდენიმე დღე წაგემურდლებოდა გუნება. კარგი მოთმინება გჭირდებოდა. თუ იქაურ რეპლიკებს აიტანდი, მაშინ კაცი ყველაფერს აიტანდი ცხოვრებაში. ერთადერთხელ სერიოზულად ვეჩხუბე პოლ რენდალს. პოლი ჩვენი რეკეტი იყო, მოსამართლე მოთამაშეთა სასამართლოზე. მე მას ახლაც „მოსამართლეს" ვეძახი. ერთხელ მეტსახელებზე ჩამოვარდა სიტყვა და პოლს გავძახე, ეი, მოსამართლევ, შენ რაღას გეძახიან-მეთქი და ასე შერჩა ეს მეტსახელი.

**ჰოვარდი** — ახლა თუ გაქვთ მოთამაშეებს შინაური სასამართლოები?

**ლეონარდი** — არა, დიდი ხანია, აღარ გვაქვს. 1994 წელს რაგბი პროფესიული გახდა და მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. მაგრამ მე კვლავ ძველებური ურთიერთობა მაქვს ბიჭებთან. ერთმანეთისთვის ბევრი გვითქვამს და გაგვიკეთებია, მაგრამ ახლა ძმაკაცები ვართ მე, ოლვერი, მაიკ ტიგი, რენდალი, ვეიდი, ბრაიან მური და შენ მიკ. ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა, პიროვნებების დეფიციტია. აღარც ძველებური მხიარულებაა... მახსოვს ერთხელ, დუბლინში ვიყავით. საღამოს ლოთობას გადავყევი და დილით სასტუმროში მერძევის ურიკით მოვგორდი, რაკი ღამე სხვა ვერაფერი ვიშოვე.

**ჰოვარდი** — შენ ახლა ალბათ უფრო მეტად ხარ პროფესიონალი...

**ლეონარდი** — შენ როგორ გგონია?

---

### ექვსი ერი 2003

# გალტიეს აფრთხილებენ: იაშვილი!



დიმიტრი იაშვილი

*დღეს და ხვალ ექვსი ერის ბოლოსწინა, მეოთხე ტურია. ამ მატჩების შედეგი, ფაქტობრივად, წინასწარაა ცნობილი და თუ სასწაული არ მოხდა, სამივე ფავორიტი, ინგლისი, ირლანდია და საფრანგეთი მორიგ გამარჯვებას იზეიმებს. გამორჩეული კი ეს ამბავია: ბრიტანული რაგბის მექა „თვიქნემის" სტადიონი უდიდეს ბრიტანულ დერბის მასპინძლობს — ინგლისი შოტლანდიას დაეჯახება*

**ინგლისი — შოტლანდია**

22 მარტი. ლონდონი. „თვიქნემი"

როგორ ფორმაშიც უნდა იყვნენ ეს გუნდები, რა ადგილიც უნდა ეკავოთ ცხრილში, ამათი ჯახი ყოველთვის მოვლენაა. ისტორიულ მეტოქეებს ქულების გარდა კალკუტის თასიც აქვთ გასაყოფი. კალკუტის თასი მხოლოდ ინგლისსა და შოტლანდიას შორის თამაშდება და მისი პატრონობა უდიდესი პატივია ამ ქვეყნებისთვის.

უცხოელი კალმოსნები გვირჩევენ, თვალი მივადევნოთ ორი მე-8 ნომრის — ინგლისელ ლოურენს დალალიოს და სკოტ საიმონ ტეილორის დუელს. ამათი პირადი ჯახი ძველისა და ახლის, ძალისა და სისწრაფის დაპირისპირებადაა მონათლული. ძველ ძალაში, ცხადია, „რკინის" დალალიო იგულისხმება, მისი ახალგაზრდა მეტოქე კი სისწრაფითა და სისხარტითაა ცნობილი.

**იტალია — საფრანგეთი**

23 მარტი. რომი. „სტადიო ფლამინიო"

კვლავ ძირითად შემადგენლობაში იქნება საფრანგეთის ნაკრების მე-9 ნომერი დიმიტრი იაშვილი. ფრანგი ჟურნალისტები მას ძალიან აქებენ და მსოფლიოს საუკეთესო მორაგბე ფაბიენ გალტიეს ურჩევენ, მალე აღიდგინოს ფორმა, თორემ შეიძლება დიმიტრიმ ძირითადში ადგილი დააკარგვინოს.

იტალიელებთან მატჩში საფრანგეთს აქამდე ყველაზე ახალგაზრდული ნახევარდაცვა ეყოლება. 22 წლის იაშვილს მისი ბიარიცელი თანაკლუბელი, 20 წლის ფრედერიკ მიხალაკი შეუწყვილდება. მიხალაკი, ვინც სამშობლოში რიგიან დამრტყმელად ითვლება, ტრავმირებულ ფრანკო გელესს შეცვლის მონფერანელი ჟერალ მერსერონი კი ისევ მარქაფში იჯდება.

**უელსი — ირლანდია**

22 მარტი. კარდიფი. „მილენიუმი"

უელსი თავს შეაკლავს ირლანდიას, რადგან ბოლო ტურში საფრანგეთში ჩადის და არავის ეჭვება, რომ წააგებს. ამით კი ირგუნებს ტურნირის სამარცხვინო პრიზს, ხის კოვზს, რომელიც, კაცმა რომ თქვას, მისთვის უკვე გამზადებულია.

უელსელები კბილებს კი ილესავენ, მაგრამ ირლანდიელებს მეზობლების სულაც არ ეშინიათ და 2 ქულას გეგმავენ. აი, რას ამბობს „ხამყურების" კაპიტანი ბრაიან ოდრისკოლი: „კარგად მესმის, რომ უელსი ახლა დაჭრილი მხეცივითაა და ძალიან საშიშია, მაგრამ ობიექტურად დღეს ჩვენ მასზე ძლიერნი ვართ და წესით უნდა მოვიგოთ".

უელსი — ირლანდიის ბოლო ხუთი დაპირისპირებიდან სამი ირლანდიამ მოიგო, ორი უელსმა. ციურიხის სარეიტინგო ბიუროში ფიქრობენ, რომ ამჯერზე ირლანდია 13 ქულით დაამარცხებს მეტოქეს.

**ბაჩო სვანიძე**

| ექვსი ერი 2003 | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 3 | 3 | 0 | 0 | + 60 | 6 |
| ინგლისი | 3 | 3 | 0 | 0 | + 57 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 1 | 0 | 2 | + 24 | 2 |
| იტალია | 3 | 1 | 0 | 2 | - 51 | 2 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | - 57 | 2 |
| უელსი | 3 | 0 | 0 | 3 | - 37 | 0 |

ევროპის ერთა თასი 2003. მეოთხე ტური

# ჩეხეთი — საქართველო

22 მარტი. პრაღა «ტატრა»

*ძლივს შეკოწიწებული და კაცნაკლული საქართველოს ნაკრები გუშინ გვიან ღამით, სამ საათზე უნდა ჩაფრენილიყო პრაღაში, სადაც დღეს ორის ნახევარზე ჩეხეთის ნაკრებს დაუპირისპირდება. ცხადია, ბორჯღალოსნები მატჩამდე ვარჯიშს ვერ მოასწრებენ. ეგ კი არა, საფიქრალია, ნამგზავრები შეძლებენ თუ არა გამოძინებას და ძალების აღდგენას*

## არ გჯერათ, რომ ვითამაშებ?

### ბიძინა გეგიძემ უკვე ივარჯიშა და თუ კლოდ სორელმა თამაში დაუწუნა, მოხსნით ემუქრება



ბიძინა გეგიძე

საქართველოს ნაკრები 21-კაცით ჩავა პრაღაში, აქედან 13 მორკინალია, დანარჩენები კი უკანახაზელები არიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენებს თადარიგში ერთი კინკილა მცველი ეყოლებათ და ვინიცობაა ბეკებიდან ვინმე დაშავდეს ან მსაჯმა გააძევოს, ბორჯღალოსანთა უკანა ხაზი ძალიან აირევა.

გუშინ დილით, პრაღაში სხვებზე ადრე ჩაფრინდა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე, რომელიც 21-ე კაცი იქნება ჩვენების გუნდში. „ბელუხად" წოდებული გეგიძე ჯველობაში „შევარდენის" და სპი-ის მორკინალი იყო. ახლა კი, როცა ძმებ გიორგაძეებს მამა გარდაეცვალათ, მალხაზ ურჯუკაშვილი მშობიარე მეუღლეს ადგას თავზე და ლევან ცაბაძეს მუხლში წყალი აქვს ჩამდგარი, გეგიძე ლოჟიდან სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებს და გამორიცხული არაა, ჩეხებთან ითამაშოს კიდეც.

— ახლა ნაკრებს უჭირს, მიზეზებს აღარ ჩამოვთვლი, ყველამ კარგად იცის. მეც გადავწყვიტე, ბიჭებთან ერთად ვიყო არა როგორც პრეზიდენტი, არამედ როგორც მორაგბე, ამ სიტყვის ყველანაირი გაგებით — გვითხრა გუშინ ბიძინა გეგიძემ, პრაღაში რომ დავუკავშირდით.

**— მართლა აპირებთ თამაშს თუ მატჩის განაცხადში იმიტომ იქნებით, რომ ოცდაორი გვარი თუ არა, ოცდაერთი მაინც იყოს...**

— არა, რატომ, თუ გუნდს დასჭირდება, მზად ვარ ვითამაშო. რა, არ გჯერათ?

— გვჯერა...

— მართალია, ინტენსიურად არა, მაგრამ ხანდახან ვვარჯიშობ, ვფიქრობ, ათი წუთი მაინც შევძლებ თამაშს. პრაღაში დილით ჩამოვედი, ცოტა დავისვენე და მერე „ტატრას" სტადიონს რამდენიმე წრე შემოვურბინე, ბუცუბიც კი ვიყიდე აქაურ მაღაზიაში. გაკვირვებული ჩეხი ჟურნალისტები ფოტოაპარატებით დამდევდნენ და სურათებს მიღებდნენ.

**— კლოდ სორელმა რა თქვა, თქვენი გადაწყვეტილება რომ გაიგო...**

— თავიდან ეგონა, ვხუმრობდი. მაგრამ მერე დარწმუნდა, რომ სერიოზულად ვაპირებდი თამაშს და დათანხმდა, რაც უფრო მეტნი ვიქნებით, მით უკეთესიო.

**— თქვენ გითამაშიათ შერკინების მესამე ხაზში, მეორე ხაზში და შერკინების ბურჯიც იყავით. თუ საჭირო გახდა, რა პოზიციაზე ითამაშებთ?**

— სადაც გუნდის ინტერესები მოითხოვს.

**— ვთქვათ, ითამაშეთ და სორელს არ მოეწონეთ, არ გეშინიათ, რომ ნაკრებში აღარ დაგიძახებთ?**

— მაშინ სორელს მოვხსნი. ხუმრობა იქით იყოს და ახლა მართლა მაგრად გვიჭირს. მთავარია, ერთად დავდგეთ და ქართული ხასიათის საუკეთესო თვისებები გამოვავლინოთ.

**— ასეთი გუნდით ჩვენი შანსები ერთი-ორად შემცირდა...**

— შეიძლება, დიდი სხვაობით არა, მაგრამ უნდა მოვიგოთ. მე მაინც ამის დიდი იმედი მაქვს. როგორი გუნდიც უნდა გვყავდეს, რა ვითარებაშიც უნდა ვიყოთ, ჩეხებთან მაინც უნდა გავიმარჯვოთ.

**ბაჩო სვანიძე**

**საქართველოს ნაკრები**

*ძირითადი შემადგენლობა: ბესიკ ხამაშურიძე, ბადრი ხეხელაშვილი, თედო ზიბზიბაძე, ვასილ კაცაძე, ირაკლი გუნდიშვილი, ირაკლი აბუსერიძე; მალხაზ მთიულიშვილი, გოდერძი შველიძე, ტარიელ რატიანიძე, ვანო ნადირაძე, ვიქტორ დიდებულიძე, გია ლაბაძე, გრიგუ არიაშვილი, ილია ზედგინიძე (კაპ)*

*სათადარიგოები: დავით ხინჩაგაშვილი, ბიძინა გეგიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, დავით ბოლღაშვილი, გიორგი ჩხაიძე, მერაბ კვირიკაშვილი*

## ევროპის ერთა თასი 2003

*ერთა თასის მეოთხე ტურის მთავარი მატჩი დღეს ბუქარესტში გაიმართება. ერთმანეთს შეებმებიან მანამდე თითოჯერ დამარცხებული რუმინეთი და რუსეთი. ჯერაც წაუგებელი პორტუგალია კი ხვალ თავის მახრჩობელა ესპანეთს მასპინძლობს და წლეულს ზედიზედ მეოთხე გამარჯვებას გეგმავს.*



ბერნარ შარეირი შეგირდების ტვინის ალესვაზეც ზრუნავს

| ევროპის ერთა თასი 2003 | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 3 | 0 | 0 | + 38 | 6 |
| საქართველო | 3 | 2 | 0 | 1 | + 33 | 4 |
| რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | + 27 | 2 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | + 24 | 2 |
| ესპანეთი | 3 | 0 | 0 | 3 | - 89 | 0 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | - 33 | 0 |

# რუსები კინაღამ შინ დარჩნენ

### რუმინეთი — რუსეთი

22 მარტი. ბუქარესტი

ბუქარესტში გაფრენა რუსებს პრობლემად ექცათ. საქმე ისაა, რომ რუმინეთის მთავარქალაქში ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები მოსკოვიდან სამოყვარულო სარაგბო კლუბ „მოსკოვსკიე დრაკონის" მწვრთნელ-მორაგბეებთან ერთად ჩარტერული რეისით ზიარად აპირებდნენ ჩაფრენას, მაგრამ ბოლო-ბოლო ამ რეისის ორგანიზებას თავი ვერ მოება. რუსეთის ნაკრების უფროსობა ჩვეულებრივი ბილეთების ძებნას შეუდგა, მაგრამ მხოლოდ ოთხი იშოვა. „დათვები" მიდგნენ-მოდგნენ და ბუქარესტში გასაფრენად გამზადებული მგზავრებისგან ბილეთები ორმაგ ფასში გამოისყიდეს, ოღონდ იმდენი, რამდენიც მხოლოდ მწვრთნელ-მორაგბეებს ეყოფოდათ.

ამასობაში კი რუმინელების ბანაკში სრული სიმშვიდეა. მათი ფრანგი მწვრთნელი ბერნარ შარეირი კვლავაც ერთგულად მისდევს ნიცშეს ფილოსოფიას და შეგირდებს მისი იდეებით ქოქავს. რუმინელებს დაუბრუნდნენ გუნდის ლიდერები პეტრე მიტუ და რომეო გონტინიაკი. ასე რომ, დღეს მასპინძლებს გამარჯვების დიდი შანსი აქვთ.

### პორტუგალია — ესპანეთი

23 მარტი. კოიმბრა

პორტუგალია მეზობელს პროვინციულ კოიმბრაში დაუხვდება, სადაც ხმაურიანი ქომაგობა გარანტირებული აქვს. მატჩი სერჟიო კონსეისაუს სახელობის მუნიციპალურ სტადიონზე გაიმართება. თვისტომი კაცების საქომაგოდ კოიმბრას ბორცვზე მდებარე ქალთა უძველესი უნივერსიტეტის გოგონები დაირაზმნენ. ისინი შუასაუკუნოვან სამოსში გამოწყობილები მივლენ სტადიონზე და მთელი მატჩის განმავლობაში გაამხნევებენ თავისიანებს.

ესპანელთა ფრანგმა მწვრთნელმა პიერ პერესმა მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში ტუნისის მძლეველი გუნდში არავინ შეცვალა. პერესი იმედიანადაა და წლევანდელ ერთა თასზე პირველ გამარჯვებას გეგმავს: „ოპტიმიზმის საფუძველს ბიჭების სამატჩო განწყობა და მათი კარგი სათამაშო ფორმა მაძლევს. დროა, პირველი მატჩი მოვიგოთ და ცხრილის ფსკერს თავი დავაღწიოთ."



# F1

მეორე ეტაპი მალაიზიის დიდი პრიზი

## სეპანგი

*კუალა ლუმპური, 23 მარტი*



**ტრასის სიგრძე** ---------------- **5.543 კმ**
**რბოლის დისტანცია** ---------------- **56 წრე — 310.408 კმ**

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 11 საათზე*

**შარშანდელი შედეგები**: 1 რ.შუმახერი (უილიამსი) 2 მონტოია (უილიამსი); 3 მ. შუმახერი (ფერარი); 4 ბატონი (რენო); 5 ჰაიდფელდი (ზაუბერი); 6 მასა (ზაუბერი)

**წრის რეკორდი**: 2002 — მონტოია (უილიამსი) 1:38.049 (203,5კმ/სთ)

**კუალა ლუმპურის** გარეუბანში ხუთი წლის წინ მოწყობილი „სეპანგის" ულტრათანამედროვე ტრასა საფორმულო სამყაროში საუკეთესოდ ითვლება. მხედველობაში გვაქვს მძღოლთა უსაფრთხოების პირობები და გასასწრებად ხელსაყრელი განიერი მონაკვეთები, თორემ ჩქაროსნულობით ის მონაკოსა და უნგრეთის გარდა ყველა სხვა ტრეკს ჩამოუვარდება. აღსანიშნავია ისიც, რომ მეტად ცხელი და ტენიანი ჰავის გამო ჯირითისას მრბოლ-ბოლიდს უდიდესი ჯაფა ადგას.

იაპონიის მერე მეორე აზიური — მალაიზიური დიდი პრიზი ჯერ მხოლოდ ოთხჯერ გათამაშდა. „სეპანგის" აბსოლუტური ტრიუმფატორია მიხაელ შუმახერი, რომელმაც ოთხჯერვე მოიგო კვალიფიკაცია და ოთხივე რბოლის შემდეგ პოდიუმზეც იდგა (აქედან ორჯერ უმაღლეს საფეხურზე). ცხადია, ხვალინდელ რბოლაშიც უმთავრეს ფავორიტად ფერარელი „წითელი ბარონი" ითვლება, თუმც პირველობაზე პრეტენზიას აცხადებენ წინა, ავსტრალიური ეტაპის მოიგები დევიდ კულჰარდი („მაკლარენი") და „სეპანგზე" შარშან დუბლით (პირველ-მეორე ადგილები) გამარჯვებული უილიამსელები — რალფ შუმახერი და ხუან პაბლო მონტოია.

გუშინ შედგა წინასაკვალიფიკაციო გაჯიბრება, რომლის შედეგებითაც განისაზღვრა, თუ რა თანმიმდევრობით ჩაებმებიან პილოტები დღეს საკვალიფიკაციო ბრძოლაში. წრე ყველაზე სწრაფად გაიქროლა მიხაელმა, ასე რომ, საპოულედ ბოლო გავა ტრასაზე. ხუთგზის ჩემპიონმა „სეპანგის" თავისივე საკვალიფიკაციო რეკორდზე თითქმის სამი მეათედი წამით უკეთესი შედეგი აჩვენა. მეორე იყო მისი თანაგუნდელი რუბენს ბარიკელო, შემდეგ მონტოია, კიმი რაიკონენი, კულჰარდი... რალფ შუმახერს მხოლოდ მე-13 დრო ჰქონდა და დებიუტანტ კრისტიანო და მატასაც („ტოიოტა") კი ჩამორჩა. ხოლო საკვალიფიკაციო საათს გახსნის გუშინ ყველაზე უიღბლო, ახალბედა ბრაზილიელი ანტონიო პიცონია, რომლის „იაგუარიც" ისე გაჯიქდა, რომ ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია.



გუშინ „სეპანგზე" ყველაზე სწრაფი მიხაელ შუმახერის „ფერარი" იყო

## მალაიზიური არქივი

| მრბოლი | ქვეყანა | მოგება | პოდიუმი | ქულა | პოული | რბოლა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | 2 | 4 | 30 | 4 | 4 |
| რალფ შუმახერი | გერმანია | 1 | 1 | 12 | — | 4 |
| რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | — | 2 | 12 | — | 4 |
| ედი ირვინი | ბრიტანეთი | 1 | 1 | 11 | — | 4 |
| დევიდ კულჰარდი | ბრიტანეთი | — | 2 | 10 | — | 4 |
| მიკა ჰაკინენი | ფინეთი | — | 1 | 8 | — | 3 |
| ხუან პაბლო მონტოია | კოლუმბია | — | 1 | 6 | — | 2 |
| ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი | გერმანია | — | — | 4 | — | 4 |
| ჯონი ჰერბერტი | ბრიტანეთი | — | — | 3 | — | 2 |
| ჯენსონ ბატონი | ბრიტანეთი | — | — | 3 | — | 3 |
| ნიკ ჰაიდფელდი | გერმანია | — | — | 2 | — | 3 |
| ჟაკ ვილნევი | კანადა | — | — | 2 | — | 4 |
| ფელიპე მასა | ბრაზილია | — | — | 1 | — | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიგებ რო?! დღეს 12 წლის აგასი 10 წლის ჩანგს მოუგებს

**NASDAQ-100 OPEN**

**კი ბისკეინი. მაგარსაფარი კაცები**

**საპრიზო 3,25 მილიონი $**

### პირველი წრე

მაიკლ ჩანგი (აშშ) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:2, 6:2; ფელიქს მანტია (ესპანეთი) — ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) 6:3, 6:1; ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:2, 4:0 (კუჩერამ შეწყვიტა); ტომას ენკვისტი (შვედეთი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:4, 6:7 (5:7), 6:3; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — ანდრე სა (ბრაზილია) 3:6, 6:4, 6:4; მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 5:7, 7:5, 7:6 (7:1); ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 4:6, 1:2 (ბეკმა შეწყვიტა); ლუის ორნა (პერუ) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:3, 6:4; ოლივიე როხუსი (ბელგია) — იან ვაჩეკი (ჩეხეთი) 3:6, 7:5, 6:1; ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) — ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) 6:0, 3:0 (ვოლჩკოვმა შეწყვიტა); მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:4; ჟან-რენე ლისნარი (საფრანგეთი) — რიშარ გასკე (საფრანგეთი) 3:6, 6:1, 2:1 (გასკემ შეწყვიტა); სირილ სოლნიე (საფრანგეთი) — ივან ლიუბიჩიჩი 7:6 (7:4), 6:4; ვინსენტ სპედია (აშშ) — კრისტოფ როხუსი (ბელგია) 6:3, 6:4; ნიკოლას მასუ (ჩილე) — კენეტ კარლსენი (დანია) 6:4, 6:3; არნო კლემანი (საფრანგეთი) — პიტერ ლუშაკი (ავსტრალია) 6:4, 6:4; ანთონი დიუპუი (საფრანგეთი) — რაემონ სლოიტერი (ჰოლანდია) 6:3, 6:4; ფრანკო სკილარი (არგენტინა) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:7 (5:7), 7:6 (7:4), 6:4; დავიდე სანგვინეტი (იტალია) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 6:4, 6:1; აგუსტინ კალერი (არგენტინა) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:1, 6:4; ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:3, 6:1; ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) — ანდრეი სტოლიაროვი (რუსეთი) 6:4, 7:5

### ბებრები

მათი მეტოქეობა ოცდაერთი წლის წინ დაიწყო. მაიკლი მაშინ 10-ის იყო, ანდრე — 12-ის. უფროსი უმცროსის სახლში სტუმრობდა და როგორც მასპინძელი იგონებს, ისინი ერთად ათვალიერებდნენ სატურნირო ბადეს, სტუმრად მყოფს ვილაცაზე რომ უთქვამს — მეოთხედფინალში ალბათ ამ ბიჭს შევხვდებით. „მეოთხედფინალში?! — გაჰკვირვებია მასპინძელ ბიჭუნას — მესამე წრეში მიგებ, რო?!"

ეს ამბავი 1982 წელს მოხდა და მაიკლ ჩანგს კარგად ახსოვს — ანდრე აგასიმ ის სამესამწრეო შეხვედრა მას 6:3, 7:5 მოუგო.

მას შემდეგ ჩანგი და აგასი ერთმანეთს ყმაწვილურად კიდევ მრავალჯერ ერკინენ და აზიოამერიკელს არმენოამერიკელის ძლევა ერთხელაც არ გამოსვლია.

ვითარების გამოსწორება მან მხოლოდ მას შემდეგ შეძლო, რაც სიყრმის რაყიფს პროფესიულ სარბიელზე დაუპირისპირდა.

1988 წლიდან — ანუ მათი პირველი პროფშეხლიდან დღემდე ჩანგმა შვიდი მატჩის მოგება შეძლო, თუმცა აგასის მაინც ზუსტად ორჯერ მეტი დაუთმო.

მათი 22-ე განდაგანით, რომელიც, სავარაუდოდ, მათი უკანასკნელი უნდა გამოდგეს, მადლიერი მილეთი დღეს, ჩვენი დროით ლასტურ საზაშო დროს გაერთობა.

ამგვარი მატჩის შესაძლებლობა თავად ჩანგმა გაჩარხა, როცა გერმანელ ნიკოლას კიფერთან საპირველწრეო შეხლაში ნამიწევ ბურთებსაც მოულოდნელად რიგიანად უგლაჯუნა და აქეთიქითაც ძველებურად, კისკასად და ფაცხა-ფუცხით ირბინა.

ჩანგი: „დღეს საუცხოოდ ვაწოდებდი, ის კი უვარგისად აბრუნებდა... აქ სულ ეგრე გამოძის — ან ძალიან კარგად, ან ძალიან ცუდად. ანდრესთან შეხლა კი ყოველთვის გამორჩეული ამბავია — ჩვენ გრძელი გზა გავიარეთ ერთად. მე მასთან ყოველთვის მაგრად მიჭირს და იმედი მაქვს, ჩემთან თამაშზე ანდრეც ამასვე გეუბნებათ."

ანდრე ჯერ არაფერს გვეუბნება, თუმცა დიდი ჩოგბურთიდან წამსვლელ თვისტომდოსტზე, ცხადია, ნაშაბათისმატჩევს ხალისით და რამე-რუმეც წაისაუბრებს.

ეგ მით უფრო, რომ მათი შეხლის შედეგში ეჭვი არც არავის ეპარება — შარშანდელ ჩემპიონს წინა კვირებში მხარი კი აწუხებდა, მაგრამ ახლა არაფერს უჩივის და თავის მეექვსე კიბისკეინურ ტიტულსაც საჩემპიონო შემართებით მიელტვის.

ანდრეს ხუთი ტიტულის წილ ჩანგი მხოლოდ ერთს მოიძევს — მაიამის ზეპური მაგარსაფარი მან 1992 წელს აიკლო.

ჰო, მართლა — უკანასკნელად ისინი ერთმანეთს თებერვალში სან ხოსეში გაელავნენ და შტეფი გრაფის ქმარმა მაშინ 6:4, 6:2 იმარჯვა...

ჩანგი, ვინაც კარიერის პირველი და უკანასკნელი სლემტიტული 1989 წელს, როლან გაროსზე დიდი სლემის ტურნირთა ისტორიაში უმრწემესმა, 17 წლისა და სამი თვისამ მოიხვეჭა, წლეულს დიდი კორტის დატოვებასა და სვიანად ნაქნევი ჩოგნის დედაბოძზე დაკიდებას აპირებს.

ეს ამბავი აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ უნდა მოხდეს — მანამდე კი ჩანგი საყვარელ ტურნირებს ემშვიდობება და კამაც-კამაც აგერ უკანასკნელი წლის პირველი გამარჯვებაც გაიჩალიჩა.

### სხვაფრივ

სხვაფრივ — იმ დღეს შემზარავი ხვატი იდგა და მრავალ მეჩოგნეს მატჩების შეწყვეტა ნაადრევად მოუხდა.

მეყუმბარე ავსტრალიელმა მარკ ფილიპუსისმა 16 ეისი გადაუჭირა ნიჭიერ ესპანელ ფელისიანო ლოპესს. ნამატჩევს ავსტრალიური „სკადი" ხარობდა, რომ შარშან აშშ-ის ღია პირველობაზე ვაგლახად ნატკენი მუხლი ახლა საერთოდ აღარ აწუხებს და რომ ამის გარდა, საკუთრივ თამაშითაც კმაყოფილია.

სამსეტიანი ბულრაობა დასჭირდა ავსტრალიის ღია პირველობის ოდინდელ ფინალისტ ტომას ენკვისტს, რომელმაც უსახელო ფრანგ ლოდრას დამორჩილებას ორ საათზე მეტი მოანდომა.

იმარჯვა ვეტერანმა ამერიკელმა ვინს სპედიამაც, რომლის გამარჯვების შედეგად ისე გამოვიდა, რომ პირველ ორ დღეს ნაპაექრები შვიდი ამერიკელიდან მეორე წრეს შვიდივემ უვნებლად უწია.

თავის საბალდალო გზაზე უფრო სახელიანი მასპინძლები დღეიდან ჩაებმებიან.

საინტერესოა, ჩანგის გარდა ამ გზიდან კიდევ ვის გადაახვევინებენ.

**ქალები**

**საპრიზო 2,96 მილიონი $**

### პირველი წრე

ჯილ კრეიბასი (აშშ) — ასა სვენსონი (შვედეთი) 4:6, 7:6 (7:3), 2:0 (სვენსონმა შეწყვიტა); დინარა საფინა (რუსეთი) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 6:1, 6:4; მეილენ ტუ (აშშ) — ბეთანი მატეკი (აშშ) 6:1, 6:7 (4:7), 7:6 (7:4); ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) — რიტა გრანდე (იტალია) 6:2, 1:6, 6:3; ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) — ანკა ბარნა (გერმანია) 7:5, 6:3; სარა ტეილორი (აშშ) — მაშონა ვაშინგტონი (აშშ) 5:7, 6:4, 6:0; ემანუელე გალიარდი (იტალია) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 6:4, 6:0; მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:2, 7:5; დაია ბედანოვა (ჩეხეთი) — სტეფანი ფორე (საფრანგეთი) 6:3, 6:3; შინობუ ასაგოე (იაპონია) — მაგი სერნა (ესპანეთი) 6:4, 6:4; მარტა მარერო (ესპანეთი) — კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) 4:6, 7:5, 6:0; დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) — ვერა ზვონარევა (რუსეთი) 6:4, 6:4

რუსმა სექსგოგო ანა კურნიკოვამ, რომელიც, სხვათა შორის, სწორედ მაიამიში ცხოვრობს, თავის სამარცხვინო საჩოგბურთო მონაგარს მორიგი საპირველწრეო წაგება მიათვალა.

ქალთა კლასიფიკაციის 66-ე ადგილამდე ჩასრიალებული ანა იმ დღეს 16 წლის თვისტომმა, მარატ საფინის ლაიკო დინარამ გაასილაქა...

შეგახსენებთ, რომ კურნიკოვამ წლეულს მხოლოდ ერთი თამაში მოიგო — იანვარში, ავსტრალიის ღია პირველობაზე. მას შემდეგ სექსანას ჩოგანი აღარ გაუნძრევია.

ეგებ ვინმეს არ ახსოვდეს და, კურნიკოვა მაიამის 1998 წლის ფინალისტია. მაშინ მას ვინუს უილიამსი მოერია.

**ლევან კელაურაძე**



# ჯენი მძიმედაა

მავან საქმეში ჩაუხედავ მჭვრეტელს ეგებ ისე მოეჩვენოს, რომ ჯენიფერ კაპრიატი ფეხმძიმედაა. აპრუწუწუნ!

მჭვრეტელს რომ ჯენის ამგვარი შებერილობა მის წიაღში ჩასახული სიცოცხლისგან ეგონება, სინამდვილეში სულ სხვა რამის შედეგი გახლავთ.

რისი?

რისი და ქალურ-ქალური ბუნებრიობის, სიალალის, დიეტაზე შეუჯდომლობისა და ხორცსავსედ ცხოვრებისა.

ეგეთია ჯენი — არც თავის დროზე დაუკლია რამე, როცა ამომავალი ვუნდერგოგოცუნა იყო და არცთუ ახლა, 26 წლისა იკლებს, როცა უკვე სამგზის მესლემტიტულეს გახდომასა და გამჭლევებას მხოლოდ საყვარელი კაცი თუ აიძულებს.

მაგრამ თუკი კაცი ვეგეტარიანელი არ არის და სტაფილოს ჩალაღაჯი ანაც ბარაქიანი დუმა ურჩევნია?...

შაბაშ!

ფოტო მაიამიში, ვარჯიშისასაა გადაღებული.

ტურნირზე მეექვსე ნომრად განთესილ ჯენის კორტი გუშლამ უნდა შეევსო.



# ტომი სენდის ჰქონჯნის და პირიძით

ბევრი ეძება თუ ცოტა, გერმანელმა მეჩოგნე ტომი ჰაასმა მაინც შეძლო, სახით ანა კურნიკოვას მსგავსი მდედრი ეპოვნა.

მდედრს სენდი ველდენი ჰქვია, 20 წლის მოდელია და — გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ — სექსანასთან შედარებით შეუდარებლად ხვავრიელი ვინმე ჩანს.

ამას წინათ სენდის თავისი კაცი ეროტიკულ ფოტოსეანსში მონაწილეობაზე დაუყოლიებია.

ტომი თავიდან კი გაძალიანებულა, მაგრამ მერე და მერე ემხში შესულა და როცა ნასეანსევს — მორჩა, გავათავეთო — შე-ვით-ატყვეს, არ ეამა.

ახლა ტომს დაძალება აღარ სჭირდება — იგი ყოველ წუთს მზად არის, გაშიშვლდეს და ფეხებით წავიდეს.

ოღონდ საამისოდ მას ორი პირობა უნდა შეუსრულონ — ერთი, რომ მეწყვილე ქალის გარეშე ის ყაბულს არ არის, ხოლო მეორეც ის, რომ ეს ქალი აუცილებლად სენდი უნდა იყოს.


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:** გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი:** ირაკლი ფირაშვილი
**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
**კორესპონდენტი გერმანიაში** ვანო ოქროპირიძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე



**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge